პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 14 (20855) — სამშაბათი, 17 იანვარი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების

საარჩევნო კომისიაში

განიხილა რა საარჩევნო კომისიაში შემოსული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის 10 იანვრის ოქმი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების შესახებ, აგრეთვე დეპუტატებად წამოყენებულ კანდიდატთა განცხადებანი, რომ თანახმანი არიან კენჭი იყაროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან, საარჩევნო კომისიამ დაადგინა, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის ყველა კანდიდატი დასახელებულია „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად.

კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან:

აბალკინი ლეონიდ ივანეს ძე — 1930 წელს დაბადებული, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ქ. მოსკოვი.

აბულაძე თენგიზ ევგენის ძე — 1924 წელს დაბადებული, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელი რეჟისორი, ქ. თბილისი.

ადილოვი ვლადიმერ ტუიჩის ძე — 1948 წელს დაბადებული, სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სამინისტროს ტაშკენტის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ხარატთა ბრიგადირი, ქ. ტაშკენტი.

ავერკინი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე — 1951 წელს დაბადებული, № 1 სკოლა-ინტერნატის დირექტორი [illegible] 1928 წელს [illegible] სსრ [illegible]კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ მთავარი რედაქტორი, ქ. ფრუნზე.

ალექსეევა ლიდია მიხეილის ასული — 1951 წელს დაბადებული, კურსკის ოლქის დმიტრიევსკის რაიონის კოლმეურნეობა „ნამგალი და უროს“ პარტკომის მდივანი.

აფანასიევი ვიქტორ გრიგოლის ძე — 1922 წელს დაბადებული, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი, ქ. მოსკოვი.

(დასასრული მე-3 გვ.)

სრულვყოთ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვა

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 13 იანვარს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე განიხილეს ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მართვის სრულყოფის გზები დემოკრატიულ საფუძველზე ახალი ეკონომიკური ურთიერთობის აქტიური განვითარების პირობებში. თათბირზე მოწვეული იყვნენ პარტიის მთელი რიგი რაიონული, საოლქო, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური აგროსამრეწველო კომიტეტების თავმჯდომარეები, აგროკომბინატების გენერალური დირექტორები, აგროსამრეწველო გაერთიანებების, აგროფირმების, აგროსავაჭრო საწარმოების, სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო სისტემების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობებისა და გამამეშვიდეველი საწარმოების დირექტორები, მეცნიერი-აგრარიკოსები, მოიჯარეები, აგრეთვე მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების მუშაკები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა**, რომელმაც თქვა:

ჩვენს მუშაობას აგრარული პოლიტიკის საკითხებზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოსამზადებლად, რომელიც მარტში გაიმართება, გადაეწყვეტი ეტაპი დაუდგა. ეს მნიშვნელოვანი პლენუმი იქნება. ვფიქრობ, ეს სიტყვაც კი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დავახასიათოთ მომავალი პარტიული პლენუმის მნიშვნელობა. ეს განისაზღვრება იმით, რომ განვიხილავთ ჩვენი საშინაო პოლიტიკის კარდინალურ მიმართულებას.

როცა აგრარულ პოლიტიკაზე, აგრარულ კომპლექსზე ვლაპარაკობთ, სანქციებ ფორმულა. ეს ბევრი რამ ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ჩვენ ბევრი რამ დავკარგეთ, როცა განვიგლეხეთ ქვეყანა ამ თვალსაზრისით, რომ ძალიან ცოტა ადამიანი მიწას, წარმოების საშუალებებს და ამით

[illegible]

ბევრ ზიანი მივაყენეთ მთელ აგრარულ საქმეს, უწინარეს ყოვლისა, მიწისადმი ადამიანთა დამოკიდებულებას. ამავე დროს ქვეყანაში საწარმოო ძალების გარდაქმნის პროცესში ყოველთვის როდი ვიცავდით, აგრარული სექტორის ინტერესებს. არ ვითვალისწინებდით იმას, რომ მიწას ძალზე პასუხისმგებლურად უნდა ვეკიდებოდეთ.

ნახეთ, რა დანაკარგები გვაქვს: რამდენი ჰიდროსადგურიც არის, იმდენი დაკარგული ჭალის მიწების მასივებია. არადა, ეს ჭალის მდელოები და საძოვრები იძლევნენ პროდუქციას. თანაც საქმე ეხება მილიონობით ჰექტარ ყველაზე კარგ სავარგულებს, რომლებზეც მრავალი მეურნეობა აფუძნებდა თავის მეცხოველეობას. აი თქვენ კიდევ ერთ შეცდომა.

შოკლედ რომ ვთქვათ, აგრარული საქმე გრანდიოზული საქმეა, რომელიც ეხება მთელი ჩვენი საზოგადოების ცხოვრების საფუძველს, მას ვერ გავუძღვებთ, თუ არ მოვახდინეთ სახალხო მეურნეობის დარგებთან ჰარმონიზაცია, თუ მხარი არ დავუჭირეთ შესაბამის ეკვივალენტურ ურთიერთობას. ერთ დროს ისტორიულად აუცილებელი იყო, როგორც ამბობენ, მივწოლოდით სოფელს, გამოგვეყენებინა მისი რესურსები სამრეწველო პოტენციალის შესაქმნელად. ეს გარემოება ნაკარნახევი იყო გარკვეული ისტორიული პერიოდით. ჩვენთან კი ასეთი მდგომარეობა ნორმად იქცა. ამან გამოიწვია მთელი აგრარული პოლიტიკის და, მაშასადამე, აგრეთვე პრაქტიკის დეფორმაცია, სერიოზული გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის ფუნქციონირების მდგომარეობასა და შედეგებზე. ასეთ მდგომარეობას ვერ დავეთანხმებით და ვერ შევიგიდგებით. მაშასადამე, დგება ჰარმონიზაციის, ეკვივალენტურობის საკითხი. მთელი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი, ყველა მისი დარგი დინამიკურად, ურთიერთდაკავშირებულად უნდა ვითარდებოდეს და უნდა გამოვნახოთ მექანიზმები, რომლებიც დაიცავდა ამ ჰარმონიას, ეკვივალენტურ ურთიერთობას.

ნახეთ, რამდენი ათასნაირი გადახრაა თვით აგრარულ სექტორში. ეს გაზრდას მოითხოვს. ჩვენ ამ პრობლემების ცენტრში დავაყენეთ რამდენიმე საკითხი. ეკონომიკური ურთიერთობის კარდინალური გარდაქმნის, სოფლის სოციალური მოწყობის საკითხი და, რა თქმა უნდა, მიწის საკითხი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ახლანდელი სჯა-ბაასი იმ დიდი მოსამზადებელი მუშაობის ნაწილია, რომელიც წარმოს პლენუმისათვის.

პლენუმზე უნდა მივიდეთ საფუძვლიანად შეიარაღებულნი, რათა შევაფასოთ განვლილი გზა, ჩვენი მიღწევები, გამოვიტანოთ გაკვეთილები დაშვებული ნარევზებიდან. უნდა ვხედავდეთ საქმის მდგომარეობის რეალურ სურათს ახლანდელ აგრარულ სექტორში, რათა წამოვაყენოთ დროული აგრარული პოლიტიკა, რომელიც დაეყრდნობა მიღწევებს, უარს იტყვის შეცდომებზე, გამოასწორებს ჩვენი ეკონომიკის ამ დიდმნიშვნელოვანი სფეროს მიმართ დაშვებულ დეფორმაციებს და მიგვიყვანს ნაყოფიერ მუშაობამდე, რომელიც ჩვენი საზოგადოების ინტერესებს შეესაბამება.

ჩვენ პლენუმზე უნდა მივიდეთ მოფიქრებული კონცეფციით. ეს პოლიტიკაა. ჩვენ არ ვსაბავთ ამ პლენუმზე ყველა კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის ამოცანას. მაგრამ უნდა შეკმნათ ისეთი პოლიტიკური წანამძღვრები, შეგიმუშაოთ ისეთი ორიენტირები, რომლებიც გაითვალისწინებდნენ ყველაფერს და დაგვისახავდნენ გზას აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის მტკიცე განვითარებისათვის, სასურსათო პრობლემის უსწრაფესი გადაჭრისათვის. დღევანდელის მსგავსი შეხვედრების ფარგლებში (ისინი კი უკვე რამდენიმე იყო), განვიხილეთ საქმის მდგომარეობა აგრარული სექტორის სხვადასხვა უბანზე, გავაანალიზეთ, შევაფასეთ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შემდეგ დაგროვილი გამოცდილება, კერძოდ, საიჯარო და სანარდო ურთიერთობის, სოფლის სოციალური გარდაქმნის, სხვა დარგებთან ეკონომიკური კავშირურთიერთობის სხვადასხვა ფორმის განვითარებაში და ბევრი, ბევრი სხვა რამ.

ჩვენი დღევანდელი შეხვედრის ამოცანაა არაფორმალური, გულახდილი, კარგახსნილი აზრთა და წინადადებათა გაზიარება დაგრა ვილ პრობლემებზე. თქვენ შეგიძლიათ თქვათ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა, მაგრამ საჭიროა გამოთქვათ საკუთარი თვალსაზრისი. უნდა ილაპარაკოთ [illegible]ექტურად, პატიოსნად. ჩვენი სჯა-ბაასის თემა უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მარ-

[illegible]

თვას, როგორიც იგი უნდა იყოს კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის დონეზე, ყველაზე პირველად რგოლში საარენდო ურთიერთობის განვითარების დროს. ჩვენ გვესმის სხვადასხვა თვალსაზრისი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესახებ. მათი როლისა და მნიშვნელობის შესახებ ჩვენი თვალსაზრისი ცნობილია. ჩვენ მას ვიცავთ არა მარტო რაღაც კარგი ურთიერთობის გულისთვის, არამედ არსებითად იმის გამო, რომ დარწმუნებული ვართ ასეთი მიდგომის სისწორეში.

ჩვენ უნდა განვიხილოთ, თუ როგორი უნდა უნდა იყოს სოფლის რაიონის დონეზე პირველადი რგოლების მართვა და თანამოქმედება. მიმდინარეობს პროცესი, როცა, მაგალითად, კოლმეურნეობაში საიჯარო ურთიერთობის განვითარების საფუძველზე წარმოიშობა კოოპერატივთა კოოპერატივი. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ფართო დემოკრატიის ბაზაზე. მთელ რიგ რაიონებში, იყენებენ რა ტულელთა გამოცდილებას, იქმნება კოოპერატივების დირექტორთა, ხელმძღვანელთა საბჭოები. ეს საბჭოები განსაზღვრავენ მთელ პოლიტიკას. მთელ თანამოქმედებას, რათა გამოავლინონ ამა თუ იმ რაიონის პოტენციალი. აგრომრეწვის აპარატს კი ამ შემთხვევაში უკავია თავისი ჭეშმარიტი ადგილი — იგი ემსახურება საბჭოს, ეხმარება საკითხების გადაჭრაში.

ამჟამად რაიონული რგოლის წინაშე აღიძვრება საკითხები, როგორ დაეხმარონ მეურნეობებს პროდუქციის რეალიზაციაში, როგორ გადაამეშაონ იგი, როგორ გაუძღვნენ უკეთ საერთო ძალისხმევით კაპიტალურ მშენებლობას, რა საკითხები გადაჭრან პირველ რიგში, რა მიმართულებებით აწარმოონ კოოპერირება. აი რაში სჭირდება დახმარება კოლმეურნეობას, და არა იმაში, რომ აპარატის წარმომადგენელი ასწავლიდეს გლეხს, როგორ უნდა თესოს, მონნას და ასე შემდეგ. ახლა კოოპერატივის, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს, საბჭოთა მეურნეობის დირექტორსაც კი არ შეუძლია უბრძანოს და უკარნახოს კოოპერატორს. იგი თავის სიტყვას ამბობს იმ შემთხვევაში, როცა წარმოიშობა ეკონომიური, ვეტერინარული ხასიათის პრობლემები, როცა საქმე ეხება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესად დაკავშირებულ საკითხებს. დღის თავისებური დევიზია: კი ნუ ერევი, — არამედ დაეხმარე.

შემდეგ, როგორია საქმის ვითარება ოლქის, მხარის დონეზე? რატომ არის იქ უწინდებურად შენარჩუნებული ყველა საწარმოო ქვედანაყოფი, რომელთა ამოცანაა მბრძანებლობა? მაშასადამე, რაიონში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში პოულობენ სწორ გადაწყვეტებს, ხოლო ოლქის, რესპუბლიკის და, ასე განსაკუთ, ცენტრის დონეზე კვლავ აქვთ დიდი მბრძანებლურ-ბიუროკრატიული ამარტი. რატომ? იმიტომ, რომ რომელიღაც ხელმძღვანელი, რომელმაც ხეირიანად არც კი იცის, რა ხდება კოლმეურნეობებში, იძლეოდეს სხვადასხვა უმაქნის, ზოგჯერ კი მავნე მითითებებსაც.

დღეს ჩვენ გვინდა გამოვარკვიოთ ყველა ეს საკითხი. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ახლა მიმდინარეობს გარდაქმნა, ხდება დიდი ცვლილებანი. ჩვენ ბევრი სასარგებლო რამ გამოვაკეთინეთ, რომელიც თვით ცხოვრებამ გვიკარნახა, მაგრამ ყოველივე ეს აწყდება მართვის დრომოჭმული ფორმებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ებღაუჭება მრავალი ხელმძღვანელი და სპეციალისტი, მათ არ სურთ თავი შეიწუხონ ქვეყანაში სურსათის პრობლემის უფრო სწრაფი გადაჭრისათვის ზრუნვით.

უნდა გავაანალიზოთ ჩვენი სპეციალისტები. ხალხს ესმის რომ სპეციალისტი საჭიროა. როგორც კი იწყებენ საიჯარო ურთიერთობის ჩამოყალიბებას, კოოპერატივის შექმნას, ისინი თავის კოლქმეურნეობაში იწვევენ სპეციალისტს, რომელმაც იცის საქმე, შეუძლია მუშაობა.

აი, ამხანაგებო, ასეთის ჩვენი ახლანდელი სჯა-ბაასის თემა. ერთხელ კიდევ მოგიწოდებთ: მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ. რა ვქნათ, როგორ გავაუმჯობესოთ ეკონომიკური ურთიერთობის პროცესი, სოფლად გარდაქმნის მთელი პროცესი, რათა საქმით გამოვავლინოთ მისი უდიდესი პოტენციალი?

თათბირზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ **ვ. ს. მურატოვსკიმ**. მან თქვა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოების შესახებ XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებების შესაბამისად

[illegible]

ბა ეს ბევრ ზიანი მოიტანა. ეს ეხება ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ეროვნულ-ეთნიკურ, ეროვნულ-ეკონომიკურ, ეროვნულ-ეკოლოგიურ ასპექტებს. ეს ეხება ადამიანთა ბედს. ეს ეხება ეროვნულ-ეთნიკურ ურთიერთობებს. ეს ეხება ეროვნულ-ეკონომიკურ ურთიერთობებს. ეს ეხება ეროვნულ-ეკოლოგიურ ურთიერთობებს. ეს ეხება ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ ურთიერთობებს. ეს ეხება ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ეთნიკურ ურთიერთობებს. ეს ეხება ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ეთნიკურ-ეროვნულ ურთიერთობებს. ეს ეხება ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ეთნიკურ-ეროვნულ-ეკონომიკურ ურთიერთობებს. ეს ეხება ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ეთნიკურ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ ურთიერთობებს. ეს ეხება ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ეთნიკურ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ეთნიკურ ურთიერთობებს. ეს ეხება ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ეთნიკურ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ეთნიკურ-ეროვნულ ურთიერთობებს. ეს ეხება ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ეთნიკურ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ეთნიკურ-ეროვნულ-ეკონომიკურ ურთიერთობებს. ეს ეხება ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ეთნიკურ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკოლოგიურ-ეთნიკურ-ეროვნულ-ეკონომიკურ-ეკოლოგი

სრულვყოთ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვა

(დასასრული)

რაიონულ დონეზე საჭირო ინტეგრირებული • საწარმოები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კოოპერაციის საფუძველზე დამზადების, ტრანსპორტირების, ნედლეულის გადამუშავების, ვაჭრობის, საწარმოო ინფრასტრუქტურის დარგში, სოფლემი, რესპუბლიკურ და საკავშირო დონეებზე მიზანშეწონილია აგროსამრეწველო ასოციაციები წარვმართოთ ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, როგორიც არის წარმოების საშუალებათა წარმოება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, აგროსამრეწველო კომპლექსის სამეცნიერო უზრუნველყოფა და სხვ.

როგორც ჩანს, დღეს უნდა ვიღიაროთ, რომ საჭიროა გაიმიჯნოს ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის სახელმწიფო და სამეურნეო მართვის ფუნქციები. შემდეგ იგი შეეხო იმას, რომ აუცილებელია იმ აგროსამრეწველო გაერთიანებათა დამოუკიდებლობის არაფორმალური, არამედ ქმედითი გავრცელება, რომლებმაც დამაჯერებლად დაადასტურეს თავიანთი ეკონომიკური და სამეურნეო მიზანშეწონილობა.

უნდა აღმოიფხვრას სოფლისადმი, როგორც ნედლეულის მიმწოდებლისადმი, ძველებური მიდგომა. აი რატომ არის საჭირო, რომ უფრო სერიოზულად და ხელახლა გავიაზროთ, გავაანალიზოთ, უფრო ღრმად მივუდგეთ მრავალი სამეურნეო ამოცანის გადაწყვეტას აგროსამრეწველო კომპლექსში.

სასურსათო პრობლემის კარდინალური გადაჭრა, სურსათით ბაზრის ავსება ახლა მოითხოვს კომპლექსურად მივუდგეთ და გაანალიზოთ მთელი რიგი რეალური, საქმიანობრივი ეკონომიკური, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური პრობლემები, თქვა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიევ-პრეზიდენტმა **ი. ი. ლუკანიოვმა.** თავის გამოსვლაში იგი შეეხო ეკონომიკურ სისტემასთან და ეკონომიკურ რეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხებს. თუ ჩვენ სერიოზულად არ დავუფიქრდით ეკონომიკური მართვის მეთოდებს, კერძოდ, ფასებისა და ფინანსურ-საკრედიტო რეგულირების მეთოდებს, საინვესტიციო და სტრუქტურული პოლიტიკის მეთოდებსა და სისტემებს, მაშინ როგორადაც უნდა სრულვყოთ წარმოების მართვის ორგანიზაციის ფორმები, განსაკუთრებულ წარმატებებს ვერ მივაღწევთ, თქვა მან.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, განაცხადა ორატორმა, ჩვენ გულდასმით გავაანალიზეთ წარმოების დანახარჯების, თვითღირებულების, ფასებისა და წარმოების რენტაბელობის მორაობის ტენდენციები, მრეწველობის მომპოვებელი დარგების დაწყებული და სახალხო მოხმარების საქონლით დამთავრებული, აგროსამრეწველო კომპლექსის ჩათვლით.

საქმე ის არის, რომ უკანასკნელი 25 წლის მანძილზე, მეცნიერის აზრით, მიმდინარეობდა პირდაპირ წარმოების გლობალური გაძვირება. საკითხი ის არის, რომ დიდი ხნის განმავლობაში სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის თავისებურ სინვესტიციო დონორს წარმოადგენდა არაეკვივალენტური ფასების სისტემის გამო.

ყოველივე ამის საფუძველზე ორატორმა თქვა, რომ აუცილებელია ფასების რეფორმა, შეეხო მისი გახორციელების პრინციპებს, რომლებიც მას მიზანშეწონილად მიიჩნია.

შემდეგ გამოვიდა მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ს. კ. გროსუ,** რომელმაც აღნიშნა, რომ ამჟამად შექმნილი მართვის მბრძანებლურ-თვითნებური მეთოდების სისტემა მოწყვეტილია მწარმოებლებსა და მომხმარებლებს, აკლია საჭირო მოქნილობა, ჯერჯერობით არ გაბატონებულა მეურნეობრიობის ეკონომიკური მეთოდები.

შეიქმნა აშკარა წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, მწარმოებლებს, რომლებიც დაჟინებით უკაფავენ გზას სამეურნეო დამოუკიდებლობას, და, მეორე მხრივ, მართვის ზედა ეშელონს შორის, რომელიც კვლავინდებურად ადმინისტრაციული მეთოდებით მოქმედებს.

ამიტომ, თქვა ორატორმა, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მომწიფდა საჭიროება სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის მრავალი ფუნქცია გადაეცეს უშუალოდ ადგილობრივ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს.

ორატორის აზრით, რესპუბლიკაში უნდა შეიქმნას ახალი საწარმოო ფორმირებანი, რომლებიც შეძლებენ ბაზრის პირობებში განახორციელონ გაფართოებული კვლავწარმოება, გადაწყვეტონ სოციალური პრობლემები საკუთარ დაგროვებათა ხარჯზე. ამჟამად რესპუბლიკაში მთავრდება აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის რეორგანიზაცია, მცირდება ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატი, ამასთან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, გადამმუშავებელ საწარმოებს, გაერთიანებებს მათი დამოუკიდებლობის გაფართოებაში.

სიტყვა ეძლევა მოსკოვის ოლქის აგროკომბინატის „რამენსკის“ გენერალურ დირექტორს **კ. ვ. კუნიცას.**

დღეს რომ მკითხონ, რა აზრისა ვარ „ყუბანის“, „რამენსკის“ ტიპის და სხვა აგროსამრეწველო კომბინატების შესახებ, ან აგროსამრეწველო გაერთიანება „ნოვომოსკოვსკოეს“ შესახებ, მე ორივე ხელით ხმას მივცემდი აგროკომპლექსის მართვის ასეთ ფორმას, თქვა მან. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ამ ახალ ფორმირებებს ვქმნით დემოკრატიულ საფუძველზე, განსაკუთრებით ახლა, როცა მწვავედ განვიცდით სასურსათო პრობლემას, როცა დაჩქარებული ტემპით უნდა გადავჭრათ ეს.

შეეხო რა აგროკომბინატ „რამენსკის“ მუშაობას, მისმა ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომბინატში შემადგენ ყველა 53 საწარმო და ორგანიზაცია რენტაბელურად მუშაობს და სრულ სამეურნეო ანგარიშზე მოქმედებს.

მ. ს. გორბაჩოვმა სთხოვა ორატორს უფრო დაწვრილებით ეამბნა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სხვადასხვა რგოლთან მეურნეობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რამდენად სჭირდება ისინი მეურნეობებს, წარმოებას.

კ. ვ. კუნიცა. მეურვეთა გარეშე უფრო ადვილია მუშაობა. დროის რაღაც შუალედში ისინი მიწყნარდნენ, ახლა კი კვლავ წამოყვეს თავი, თანაც კვლავ გვიკარნახებენენ, რა ვუყოთ კანფეტებს, რა მარშრუტით გადავზიდოთ ბოსტნეული, როგორ გადავწყვიტოთ მთელი რიგი სხვა საკითხები. საქმე ხომ იქამდე მივიდა, რომ ჩვენ სულ რამდენიმე დღის წინათ მივიღეთ საკავშირო სახაგრომრეწველოსა და აგრობანკის დეკანეს, თითქოს ახლა საჭირო იყოს ადგილობრივმა სახელმწიფო ბანკებმა, აგრობანკებმა პერსონალური კონტროლი დაუწესონ თითოეულ მეურნეობაში ხელფასის ხარჯვას.

პასუხი გასცა რა მ. ს. გორბაჩოვის შეკითხვას აგროკომბინატის ფარგლებში სანარდო ურთიერთობის განვითარების შესახებ, „რამენსკის“ დირექტორმა დაამოწმა საბჭოთა მეურნეობა „ზავოროვოს“ მაგალითი, რომელიც მთლიანად სანარდო იჯარაზე გადავიდა. შეიქმნა 10 კოოპერატივი: 2 — მემცენარეობის, 4— მეცხოველეობის, ავტოსატრანსპორტო კოოპერატივი, მექანიკური სახელოსნო, მშენებელთა და საბინაო-საყოფაცხოვრებო დარგის მუშაკთა. ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ, კონკრეტული შედეგები კი მიღებულია. განსაკუთრებით სწრაფად უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. ახლა 89 ოჯახი მეურნეობაში ოჯახური იჯარით მუშაობს.

ჩემი აზრით, თქვა დასასრულ ორატორმა, სანარდო იჯარა უწინარესად თვით საბჭოთა მეურნეობასა თუ კოლმეურნეობაში უნდა განვავითაროთ, რადგან ეს გამოიწვევს არა მარტო წარმოების გადიდებას, არამედ შესაძლებლობასაც მოგვცემს გადაეწყვიტოთ მთავარი ამოცანა — დავამკვიდროთ მეურნე მიწაზე.

ტრიბუნაზეა როსტოვის ოლქის მატვეევო-კურგანის რაიონის კოლმეურნეობა „პობედას“ თავმჯდომარე **ვ. ა. გულოვი.** იგი სავსებით დაეთანხმა იმათ, ვისი აზრითაც, სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველი უნდა იყოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. თავისი აზრის განსამტკიცებლად მან მოიყვანა მონაცემები, რომლებიც ახასიათებს მეურნეობის მტკიცე ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს.

ორატორმა მზარი დაუჭირა დამზმარე სარეწების შემდგომ განვითარებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაკავლიანების პრობლემის რაციონალურ და სწრაფ გადაჭრას, სოციალური, კულტურული და საყოფაცხოვრებო საკითხებისადმი აყურადღების გაძლიერებას. კოლმეურნეობაში საბავშვო ბაღი შეუფერებელ შენობაშია, სკოლის შენობა დიდი ხანია მოძველდა. მაგრამ რემონტს აყოვნებენ, მეურნეობაში არ არის საშენი მასალები. ქალაქმა კი სოფელს დახმარება შეუსუსტა.

ილაპარაკა რა იმაზე, რომ აუცილებელია თავისუფლება დაგვმვაში, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ეკონომიკური ბერკეტი, რომელიც დააინტერესებდა მეურნეობას სწორედ იმ პროდუქციის წარმოებით, რომელიც პირველ რიგში სჭირდება სახელმწიფოს.

საოლქო აგრომრეწველის აპარატში მნიშვნელოვან ფუნქციურ ცვლილებებზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში ბელორუსიის სსრ სახაგრომრეწველის თავმჯდომარემ **ი. მ. ჰუსაინოვმა.** მან აღნიშნა, რომ მოხდა აგრეთვე მართვის ძირეული ბერდაქმნა რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში. ყველგან გადავიდნენ სამეურნეო მართვის არჩევითს ორგანნებზე, არჩეულია რაიონული გაერთიანებების საბჭოები, რომლებიც დემოკრატიულ საწყისებსა და სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მუშაობენ. საბჭოები თავიანთი შეხედულებისამებრ განსაზღვრავენ მომსახურე ორგანიზაციებთან მეურნეობათა ურთიერთობის პრინციპებს.

რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ რაიონული გაერთიანებანი გახდნენ მართვის ეკონომიკური მეთოდების ათვისების, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მოწინავე სისტემების დანერგვის სამეცნიერო-ორგანიზაციული ცენტრები.

ორატორის აზრით, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის ძირითადი ფორმაა. როგორც ჩანს, მიზანშეწონილი იქნებოდა ადგილობრივ ორგანოებს მიენიჭოთ უფლება მთელ რიგ შემთხვევებში დაუშვან საკუთრების ფორმების შეცვლა, სახელდობრ კი — გადააქციონ ცალკეული მცირერენტაბელური სახელმწიფო საწარმოები კოლექტიურ მეურნეობებად.

ორატორი შეეხო სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვასთან, მართვის სისტემასთან, კომპლექსურ მექანიზაციასთან, სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების დანერგვასთან დაკავშირებულ მთელ რიგ აქტუალურ პრობლემებს.

დარწმუნებული ვარ, თქვა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ვ. ა. ტიხონოვმა,** რომ ვერც ერთი მსხვილი სამეურნეო სისტემა ვერ იარსებებს მხოლოდ მსხვილ დიდად კონცენტრირებულ საწარმოებში. და ვერასოდეს ვერ შეგძლებთ მივიღოთ საჭირო პროპორციულობა და ამავე დროს დინამიკურობა პროპორციებში, თუ ორიენტაციას ავიღებთ მხოლოდ წარმოების კონცენტრაციის მაღალ დონეზე.

ყოველგვარი სამეურნეო სისტემა, და ამას მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ყოველთვის არის მსხვილი, საშუალო სასაქონლო, წვრილსასაქონლო და, ასე განსაჯეთ, არასასაქონლო საწარმოების ერთიანობა. და მხოლოდ ასეთი სტრუქტურა ქმნის იმ საჭირო მოქნილ მექანიზმს, რომელიც საშუალებას აძლევს ამ საწარმოებს ერთად იმოქმედონ, მოაგვარონ საკმაოდ მანევრული სტრუქტურა, რომელიც საჭიროა შემთხვევაში იცვლება პროდუქტებზე საზოგადოებრივი მოთხოვნილებების შეცვლასთან ერთად.

შეეხო რა შემდეგ წარმოების საშუალებების ფასწარმოქმნის პრობლემებს, ორატორმა წინადადება წამოაყენა დაეწესონ არა მონოპოლიური ფასები, როგორც ახლა ამას ფასსახკომი შვრება, არამედ მხოლოდ მინიმალური და მაქსიმალური ფასის ზღვრები. იმ შემთხვევაში, თუ მრეწველ-მონოპოლისტი, რომელიც აწარმოებს კომბინატებს და ვაჭრობს მონოპოლიურად ამ მანქანებით ბაზარზე, აჭარბებს დადგენილი ფასის ღონეს, სახელმწიფო უპასუხებს გადასახადით, რომელიც აიღებულს მწარმოებელს გამონახოს ხარჯებისა და ფასის შემცირების შესაძლებლობანი.

მართვის ახალი სისტემის პირობებში, თქვა შემდეგ ორატორმა, უნდა უზრუნველყოფილ კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა მეურნეობის სამეურნეო ხელშეუხებლობა. ამ უფლებათა გარანტია შეიძლება იყოს მიწის, როგორც მეურნეობრიობის ობიექტის, ფლობის გამოყოფა მიწის სახელმწიფო საკუთრებისაგან და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მიწის დამოუკიდებელი ფლობის დამკვიდრება გარკვეული იურიდიული დოკუმენტის — ხელმეკულების მეშვეობით. სახელმწიფო, როგორც ამ მიწის მესაკუთრე, შეასრულებს საკუთრების უფლებას ამ მიწის ფლობისათვის ფიქსირებული საფასურის მიღების ზნით.

ტრიბუნაზეა ლიტვის სსრ აგროსავაჭრო საბჭოთა მეურნეობის „ვიდმანტაის“ დირექტორი **ვ. მ. რაკაუსკასი.** ჩვენ, თქვა მან, ძირითადად ყურადღებას ვუთმობთ მართვის სტრუქტურას, სქემას, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ მეურნეობრიობის ეკონომიკურ მეთოდებს, ფასებს, კრედიტებს, საზღვარგარეთულ კავშირურთიერთობას, ეკვივალენტურ გაცვლას.

შემდეგ მან ილაპარაკა თავის საწარმოზე, რომელიც სურსათით უზრუნველყოფს კურორტ პალანგას. შეეხო რა როგორც რაიონში, ისე მის ფარგლებს გარეთაც პარტნიორებთან საბჭოთა მეურნეობის ურთიერთობის პრობლემებს, მან ყურადღება მიაპყრო იმას, თუ რაოდენ საჭიროა, რომ შეიქმნას საკუთარი გადამუშავებელი მრეწველობა, მეტი დამოუკიდებლობა მიენიჭოთ ადგილებზე სამეურნეო საკითხთა გადაჭრაში.

ახლა, განაცხადა ორატორმა, მოიჯარე ვერ იარსებებს მარტოკა — საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის გარეშე. ახალი ფორმების ძიებისას უნდა გამოვიყენოთ შექმნილი ინფრასტრუქტურა. იმისათვის, რომ გაეზარდოთ სპეციალისტთა და ხელმძღვანელთა მუშაობის ეფექტიანობა, მათი შრომის ანაზღაურება დამოკიდებული უნდა იყოს წარმოებულ პროდუქციაზე.

დასასრულ ორატორი შეეხო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, აგრეთვე პროდუქციის ფასწარმოქმნის პრობლემებს.

ამ ბოლო დროს აგროსამრეწველო კომპლექსში მოხდა მართვის სტრუქტურათა დიდი ცვლილებები, ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფა. მაგრამ დღემდე სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება, სამწუხაროდ, ვერ შევძელთ, თქვა აგროსამრეწველო გაერთიანების „სლავგოროდსკოეს“ საბჭოს თავმჯდომარემ, ალტაის მხარის სლავგოროდსკოეს რაიონის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ვ. ა. ბეკერმა.**

ამის მთავარი მიზეზი, ორატორის აზრით, ის არის, რომ ეკონომიკური რეფორმა ნელა, არათანაბარზომიერად მიმდინარეობს ცალკეულ რგოლებში, ზოგჯერ კი წინააღმდეგობრივადაც. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა საწარმოთა გადასვლა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, სანარდო ურთიერთობის დანერგვა, სოციალისტური საწარმოს და კოოპერაციის შესახებ კანონების მიღება, თქვა მან, პრინციპულად ახალ სიტუაციას ქმნის ეკონომიკაში, რომელიც მთელი სამმართველო პირამიდის გარდაქმნას მოითხოვს, მაგრამ დღემდე არის ცდები მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მწვეტრალის შენარჩუნების პირობებში აიგოს სამეურნეოანგარიშებრივი ურთიერთობა.

ჩვენ, თქვა შემდეგ მეურნეობის ხელმძღვანელმა, იმის მომხრე ვართ, რომ ადგილებზე შეგვეძლოს მეურნეობების ორიენტირება და დაინტერესება აწარმოოს ის სასურსათო პროდუქტები, რომლებიც საჭიროა მოცემული რაიონის მოსახლეობისათვის და სწორედ დღეისათვის. თუ, ვთქვათ, დღეს საჭიროა მარცვლეული, მაშასადამე, აქ თვითონ უნდა მოვახდინოთ მანევრირება და გავყიდოთ მეტი მარცვლეული.

მაგრამ 1989-1990 წლების სახელმწიფო შეკვეთების ფორმირების წესის შესახებ დროებითს დებულებაში, რომელიც დაამტკიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, ჩაწერილია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე სახელმწიფო შეკვეთას აცნობენ მხარეს, მხარე აცნობს აგროკომბინატებს, აგროფირმებს, გაერთიანებებს, მეურნეობებს კი მხოლოდ ისღა რჩებათ, რომ უსიტყვოდ შეასრულონ მითითებანი ზემოდან.

მ. ს. გორბაჩოვი. ამ საკითხს სულ განვიხილავდით და განვიხილავდით, სახელმწიფო შეკვეთა კი მაინც დარჩა. ზოგი ამბობს: ვაწარმოებ იმას, რაც გვინდა. ამასთან ფასწარმოქმნის პრაქტიკაში, ფასების პოლიტიკაში ჩვენ ჯერ კიდევ ძალზე მცირე გამოცდილება გვაქვს, ისევე, როგორც საგადასახადო პოლიტიკაშიც — ჩვენში ყოველივე ეს ჯერჯერობით მოუწესრიგებელია. რა გამოდის? მოდით, ერთად გადავწყვიტოთ ფასების, სტიმულების, შეკვეთების საკითხები, მოდით, ერთად ვეძებოთ სწორი პასუხი, ვარიანტები.

გ. ა. ბეკერი. გაგიგეთ. მე იმის მომხრე კი არა ვარ, რომ ანარქია იყოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში, იმის მომხრე გახლავართ, რომ იმ პროდუქტის წარმოებით, რომელიც საჭიროა დღეს, რაღაცნაირად უფრო მეტად დავაინტერესოთ მეურნეობა. ფასების რეგულირებაა საჭირო.

და კიდევ: უნდა გავიმჯობესოთ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. დღეს ბევრს ლაპარაკობენენ იმაზე, საჭიროა თუ არა აგრომომარაგება, საჭიროა თუ არა მომმარაგებელი ორგანიზაციები. ყველა ისინი საჭიროა. სხვა აზრი აქ არ შეიძლება იყოს.

სიტყვა ეძლევა კალინინის ოლქის ტორჟოკის რაიონის საწარმოო სისტემის „ლენის“ საბჭოს თავმჯდომარეს, კოლმეურნეობა „მირის“ თავმჯდომარეს **ნ. ი. პოპოვს.**

უკანასკნელი წლების მანძილზე, თქვა მან, სელის ჰექტარის წმინდა მოგება მეურნეობის სალაროში მიდის 2,7-2,8 ათასი მანეთის ოდენობით. ამიტომ, როცა ლაპარაკია იმაზე, რომ შევამციროთ სელის ფართობები, ჩვენ ეს არ გვესმის. ჩვენ გვიყვარს ეს კულტურა, ვისწავლეთ მისი მოყვანა ჩვენთან ოჯახური, სანარდო, კოლექტიური იჯარით, და ვცდილობთ ეს იჯარა სისტემის შიგნით დავნერგოთ.

რამ გვიბიძგა ბოჭკოს გამომუშავების აგროსამრეწველო სისტემის შექმნისათვის? ახლომდებარე მეურნეობანი სელის პროდუქციას აბარებდნენ ხუთ სელის ქარხანას, რომელთაგან ორი ჩვენი რაიონის ფარგლებს გარეთ არის. ეკარგავდით დიდ ფულს ავტობაზებიდან ტრანსპორტის მოზიდვის ხარჯზე.

შევიკრიბეთ ხელმძღვანელებთან ერთად და გადავწყვიტეთ შეგვექმნა სისტემა. აი მისი ამოცანა: შეასრულოს ბოჭკოს სახელმწიფო შეკვეთა.

ყაზახეთში მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საბაზო საფუძვლად უნდა დარჩნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, განაცხადა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ა. ნაზარბაევმა.** ამასთან დაკავშირებით იგი შეეხო სპეციალისტ-სამეურნეო მუშაკებთან ურთიერთობის საკითხს. კადრების ოქროს ფონდთან, რომლებიც ჩვენს სოფლის მეურნეობას ჰყავს, უნდა ვიმუშაოთ, რომ მათ გაიგონ ახალი წარმოებითი ურთიერთობის არსი.

ავიღოთ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება. მარტო ერთი დასახელება. თუ მრეწველობაში ვამბობთ საწარმოო გაერთიანება, მაშასადამე, ეს არის გაერთიანება. 1985 წლიდან ვეწევით რეორგანიზაციას სოფლად. თუ ეს უკანასკნელია, მე მას ხმას ვაძლევ.

შემდეგ ორატორი დაწვრილებით შეეხო წინადადებებს ყველა დონეზე აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ახალი სტრუქტურის შესახებ. მისი აზრით, რესპუბლიკაში უნდა შეინარჩუნონ სახაგრომრეწველო დღევანდელი მდგომარეობით. მაგრამ ეს ორგანო უნდა იყოს ნამდვილად ქმედითუნარიანი, მას ხელთ უნდა ჰქონდეს ყველაფერი.

დასასრულ ორატორმა ყურადღება მიიპყრო იმაში, რომ საჭიროა სრულვყოთ მიდგომა სოფლის სოციალური პრობლემების გადაჭრისადმი, განვავითაროთ გადამმუშავებელი დარგები, გადავიყვანოთ აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოები სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

ლატვიის სსრ სახაგრომრეწვის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი **ა. ა. კალნინში** შეეხო ახალ ეკონომიკურ პირობებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობას. ეკონომიკურად ღონიერ მეურნეობები რაიმე შინაგანი ორგანიზაციულ-ეკონომიკური მსხვრევა საჭირო არ არის, და ისინი მომავალში დარჩებიან სურსათის წარმოების ძირითად ფორმად.

ახალი მმართველობა ფერმერთა მეურნეობების შექმნა. ისინი უნდა ფუნქციონირებდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გვერდით როგორც თავისთავადი, დამოუკიდებელი სამეურნეო ფორმირებანი. მეურნეობრიობის ასეთი ფორმის შექმნის შესაძლებლობა განპირობებულია იმით, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელმწიფო ტყის ფონდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ფართობი არ გამოიყენება ან გამოიყენება არასაკმარისად ეფექტიანად. დაკარიელებულია აგრეთვე ყოფილი ხუტორების შენობათა გარკვეული რაოდენობა.

შეეხო რა რესპუბლიკურ დონეზე აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის პრობლემებს, ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ რესპუბლიკური დანაწილების სამეურნეო ფორმირებანი შეიძლება იყვნენ კოოპერაციის სახით საწარმოო-ტექნიკური მომსახურების ცალკეულ სახეობათა მიხედვით: ტექნიკის რემონტის, შენობათა აგების, სამელიორაციო ნაგებობების; პროდუქციის — რძის, პირუტყვის, ფრინველის წარმოებისა და გადამუშავების; მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კოოპერაციები. ამასთან ერთად რესპუბლიკურ დონეზე უნდა იყოს სახელმწიფო ორგანო, აგროსამრეწველო კომპლექსის, კომიტეტის ან სამინისტროს სახით, რომელიც შეასრულებს სახელმწიფო ინსპექციის ფუნქციებს.

მეორე მხრივ, ეს ორგანო უნდა იცავდეს აგროსამრეწველო კომპლექსის ინტერესებს სახალხო მეურნეობის სხვა სფეროების წინაშე და მომხმარებელთა ინტერესებს, რომ მათ შეძლონ შეიძინონ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია, მოხერხებულად შეფუთული, ნებისმიერ საცხოვრებელ ადგილას.

ორატორმა შემოიტანა წინადადება შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის რეგიონალური გაერთიანება, რომელშიც შევა არ მარტო სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ყველა ქარხანა, არამედ მანქანა-საცდელი სადგურები და შესაბამისი საკონსტრუქტორო ბიუროები.

„ზემოდან“ ხელმძღვანელობის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული მეთოდების დაძლევაზე ილაპარაკა სტავროპოლის მხარის საბრძოლო-რი საწარმოო გაერთიანების „სტავროპოლსკოეს“ გენერალურმა დირექტორმა **ვ. ი. პოხტენკოვმა.** დარგში, თქვა მან, ორგანიზებულია კოოპერატივები, რომლებმაც მეურნეობებს სრული დამოუკიდებლობა შეუქმნეს. რა ეკონომიკური ბერკეტებით იყო უზრუნველყოფილი ეს დამოუკიდებლობა?

პირველი — არჩევნებითა და მართვის კოლეგიური ორგანოებით, მეორე — მეურნეობის 37 კოოპერატივის მთელი სამეურნეოთაშორისო ურთიერთობა გადავიყვანეთ კომერციულ საფუძველზე. არსებობს შიდასაეწყლო ფასები, და კოოპერატივების მთელი ურთიერთობა ერთმანეთთან არის მხოლოდ ყიდვა-გაყიდვა. სხვა ურთიერთობა არ არსებობს. ყველაფერი სახელშეკრულებო საფუძველზეა.

მესამე — და, ალბათ, ყველაზე მთავარი: ფულადი სახსრების რაიმე ცენტრალიზაციაზე მთლიანად უარის თქმა. ჩვენ, თქვა გენერალურმა დირექტორმა, არავითარი ცენტრალიზებული ფონდები არ გვაქვს. ყველაფერი, რასაც გამოიმუშავებენ, რჩებათ მეურნეობებს. საბრძოლო გაერთიანების აპარატიც კი არსებობს და გამომუშავების ფულს საკომპიუტერო პროგრამების გაყიდვით, საგარეო-სავაჭრო საქმიანობით. ახლა ვერავინ იტყვის, რომ ჩვენ ძირს ვუთხრით მეურნეობების დამოუკიდებლობას.

და უკანასკნელი: მმართველობაში დარჩა 30 კაცი. ისინი განაგებენ შეზღუდული წრის საკითხებს. გენერალურ დირექტორს, მაგალითად, უფლება არა აქვს მოხსნას დირექტორი, დანიშნოს დირექტორი, დასაჯოს, არ მისცეს პრემია. ყოველივე ამას განაგებს გაერთიანების საბჭო.

XIX პარტიულ კონფერენციაზე, თქვა შემდეგ გენერალურმა დირექტორმა, მე ვფიქრობ, სამინისტრო საერთოდ საჭირო არ არის-მეთქი. ახლა ვაღიარებ, რომ შევცდი. უნდა იყოს სამინისტროც თავისი ამოცანების წრით ან აგრარულ-სამრეწველო კომიტეტები, როგორიც გვაქვს თავიდან ბოლომდე. უთუოდ უნდა იყოს ხელმძღვანელობა, იქ ხომ თავს იყრის უამრავი საქმე.

ხელმძღვანელობა სახაგრომრეწვის სახით, თქვა თავის გამოსვლაში როგნოს ოლქის აგროფირმის „ზარიას“ თავმჯდომარემ **ვ. ა. პლიუტინსკიმ,** — საჭიროა. ვერც ერთი ორკესტრი ვერ დაუკრავს, თუ მას არ ეყოლება დირიჟორი. მაგრამ მრავალი ზედნაშენი სოფლის მეურნეობაში საჭირო არ არის. მარტო პერსონალური ავტომანქანების საწვავი რა გვიჯდება. რა თქმა უნდა, მიანნია ორატორს, ეს არაფრად არ ვარგა.

ორატორმა გამოთქვა აზრი, რომ უფრო გაბედულად უნდა გადმოვიღოთ დადებითი გამოცდილება როგორც სოციალისტურ ქვეყნებში ჩვენი მეგობრებისა, ასევე კაპიტალისტური ქვეყნების ფირმებისაც. შებოჭილობისგან უნდა გავთავისუფლოთ ადამიანთა ინიციატივა, უფრო მეტად ვენდოთ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, არ უნდა გვეშინოდეს.

მ. ს. გორბაჩოვი. სწორედ ამისათვის ვიღვწი. პლენუმს უნდა შევეხვედეთ ყველა მთავარ საკითხში მომზადებული. თუ პლენუმზე ვერ ვუპასუხებთ მთავარ კითხვებს, ასეთი პლენუმი არ გვჭირდება. ჩვენ შიშით ვართ შეპყრობილი, პატარ-პატარა ნაბიჯებით მივიწევთ წინ. გამოცდილება კი კოლოსალური გვაქვს. აქედან უნდა გამოვიტანოთ დასკვნები.

ვ. ა. პლიუტინსკი. ჩვენს მეურნეობაში ბევრი სპეციალისტია. ისინი სათავეში უდგანან სოფლის საწარმოებსაც, სამრეწველოსაც. მადლობელი ვართ იმისათვის, რომ მოგვეცა ძალაუფლება. ჩვენ არავინ არაფერს გვიგებგმავს, არავინ არაფერს თავს არ გვახვევს, ჩვენ ვახორციელებთ პარტიულ, სახელმწიფო გზს — გავაკეთოთ რაც შეიძლება მეტი და უფრო იაფად, მეტი მივიღოთ მოგება.

ჩვენში ახლა, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, არის დემოკრატია, სიჯარონი, ჩვენში ახლა გარდაქმნის ხანაა. ეს მეტად მნიშვნელოვანია. ჩვენ ვმუშაობთ ადამიანებთან, თითოეულმა იცის რისთვის მუშაობს, იცის, რომ მას ენდობიან.

ორატორი შეეხო ფასწარმოქმნის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების, სიჯარო ურთიერთობის, სოციალტყოფის ზოგიერთ პრობლემას.

თათბირზე გამოვიდა მოსკოვის ოლქის სტუპინოს რაიონის „შუგაროვოს“ კოოპერატივის თავმჯდომარე **ვ. პ. ტრუბინი.** თვისი ცხოვრების ნახევარზე მეტ ხანს იგი საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა მექანიზატორად. წინათ ასე იყო, თქვა ორატორმა, მუშაობდი თუ ცდებოდი, სულ ერთია დღეში თითქმის ექვსი მანეთი გერგებოდა. ერთხელ ახლობლებს მოველაპარაკე შემდგომი ცხოვრების შესახებ. და გადავწყვიტეთ შეგვექმნა კოოპერატივი „შუგაროვო“.

შევუთანხმდით საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციას, ხელშეკრულებით ავიყვანეთ 200 უმობელი. თავდაპირველად კოოპერატივში ხუთნი ვმუშაობდით. ორი მაშინვე შეშინდა და გაიქცა. დავრჩით სამნი.

მთელი ზაფხულის განმავლობაში 200 უშობელი სამოვარზე გვყავდა, ამავე დროს ვაშენებდით ბაკებს, ვარეშენტებდით ფერმას, რომელიც უპერსპექტივოდ ითვლებოდა, სადაც მრომა მხოლოდ ხელით წარმოებს და არავითარი მექანიზაცია არ არის.

ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ არ გადავედით ფერმაში. აქ კი დაიწყო... რამდენი არ მივმართე დახმარებისათვის, გამოეყოთ საშენი მასალები, რამდენი არ ვწერე — არავითარი ძვრა, არაფერი არ გამოვიდა. ნუ გაგიკვირდებათ: ჩვენთან ასეა — კოოპერატივები, ნარდი არავის არ სჭირდება. განა ასე ვარგა, როცა რაღაც წვრილმანის გამო პარტიის სამქალაქო კომიტეტის მდივანს უნდა მიმართო. უფრო დაბლა ამას არავინ არ ა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან
სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების
საარჩევნო კომისიაში

(დასასრული).

ბაკლანოვი ოლეგ დმიტრის ძე — 1932 წელს დაბადებული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ქ. მოსკოვი.

ბარიშნიკოვი ივანე ანტონის ძე — 1939 წელს დაბადებული, სსრ კავშირის საავტომობილო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ვოლგის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საავტომობილო ქარხნის მნიშვნავი, კუიბიშევის ოლქი.

ბეშენკევიჩი ზაინა — 1955 წელს დაბადებული, ყირგიზეთის სსრ ისიყ-ყულის ოლქის ჯეთიოღუზის სახელმწიფო სპეციმეურნეობის სარქალი.

ბელოვი ვასილ ივანეს ძე — 1932 წელს დაბადებული, მწერალი, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ქ. ვოლოგდა.

ბიკენინი ნაილ ბარის ძე — 1931 წელს დაბადებული, ჟურნალ „კომუნისტის“ მთავარი რედაქტორი, ქ. მოსკოვი.

ბოროდინი ნიკოლოზ ვასილის ძე — 1944 წელს დაბადებული, ჩიტის ოლქის შილკინის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ გამგეობის თავმჯდომარე.

გერმანი (გრანინი) დანიელ ალექსანდრეს ძე — 1919 წელს დაბადებული, მწერალი, სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ქ. ლენინგრადი.

გვოზდევი ვლადიმერ მათეს ძე — 1947 წელს დაბადებული, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „სამხრეთ კუზბასქვანახშირის“ „რასპადსკაიას“ შახტის კომპლექსური მექანიზებული ბრიგადის ბრიგადირი, კემეროვოს ოლქი.

ზოლუბევი ვალენტინა ნიკოლოზის ასული — 1959 დაბადებული, რუსეთის სფსრ საფიქრო მრეწველობის სამინისტროს ივანოვოს ბამბეულის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი, ქ. ივანოვო.

გონჩარი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე — 1958 წელს დაბადებული, მოტმსროლელი პოლკის პარტკომის მდივანი, ლენინგრადის სამხედრო ოლქი.

გორბაჩოვი მიხეილ სერგის ძე — 1931 წელს დაბადებული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ქ. მოსკოვი.

გრომოვი ვიქტორ ივანეს ძე — 1944 წელს დაბადებული, ვერხნეულალინსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული საწარმოო გაერთიანების მეკარუსელე ხარატი, სვერდლოვსკის ოლქი.

გულიევ ზულაიხო სოხიბნაზარის ასული — 1949 წელს დაბადებული, ტაჯიკეთის სსრ ორჯონიკიძეობადის რაიონის კოლმეურნეობა „XXII პარტყრილობის“ მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი.

ერიხოვიეცი ირინე იაკობის ასული — 1944 წელს დაბადებული, სსრ კავშირის რადიომრეწველობის სამინისტროს მინსკის გამომთვლელი ტექნიკის საწარმოო გაერთიანების გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის ელექტრონული გამომთვლელი მანქანების ქარხნის შემონტაჟე, ქ. მინსკი.

ვეგენი მიხეილ გრიგოლის ძე — 1923 წელს დაბადებული, გორკის ოლქის კოვერონის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

ვალეევი ზუხრა სიბგატის ასული — 1947 წელს დაბადებული, უფის დიდანელიანი სახლთმშენებლობის საპროექტო-სამშენებლო გაერთიანების № 3 სამშენებლო სამმართველოს მღებავთა ბრიგადირი, ქ. უფა.

ვასილიევი ივანე ათანასეს ძე — 1924 წელს დაბადებული, მწერალი, ფსკოვის ოლქის ველიკეე ლუკის რაიონი.

ველიხოვი ევგენი პავლეს ძე — 1935 წელს დაბადებული, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ქ. მოსკოვი.

ვორობიოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე — 1952 წელს დაბადებული, სკკპ ფსკოვის ოლქის პიტალოვის რაიკომის პირველი მდივანი.

ზაიკოვი ლევ ნიკოლოზის ძე — 1923 წელს დაბადებული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ქ. მოსკოვი.

ზიატდინოვი ნაზიფ ზიატდინის ძე — 1925 წელს დაბადებული, თათრეთის სსრ ტუკაევსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტის“ დირექტორი.

იაკოვლევი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე — 1923 წელს დაბადებული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ქ. მოსკოვი.

იბრაგიმოვი გუსეინ რუსტამ ოღლი — 1951 წელს დაბადებული, საწარმოო გაერთიანება „კასპზღვანავთობგაზის“ სკკპ XXII ყრილობის სახელობის ნავთობგაზმომპოვებელი სამმართველოს „ნავთობის ქვების“ ბურღვის საუშაოთა საზღვაო სამმართველოს მბურღავი, ქ. ბაქო.

ივაშკო ვლადიმერ ანტონის ძე — 1932 წელს დაბადებული, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, ქ. კიევი.

ილიხაროვი გაბრიელ აბრამის ძე — 1921 წელს დაბადებული, რუსეთის სფსრ ჯანდაცვის სამინისტროს კურგანის „აღდგენითი ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის“ საკავშირო სამეცნიერო ცენტრის გენერალური დირექტორი, ქ. კურგანი.

იოვლევი დიმიტრი მიხეილის ძე — 1946 წელს დაბადებული, სსრ კავშირის საავტომობილო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „მოსკვიჩის“ ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხნის ზეინკალი, ქ. მოსკოვი.

ინშინი ალექსანდრე იაკობის ძე — 1933 წელს დაბადებული, სკკპ როსტოვის ოლქის შახტის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

კაბანოვი ევგენი ნიკოლოზის ძე — 1952 წელს დაბადებული, საწარმოო გაერთიანება „კამჩატთევზრეწვის“ საყინავი ტრალერის „სოკოლოვოს“ კაპიტან-დირექტორი, კამჩატკის ოლქი.

კალინინი ნიკოლოზ ვასილის ძე — 1937 წელს დაბადებული, სიპაერო-სადესანტო ჯარების სარდალი, ქ. მოსკოვი.

კალეში ვიტალი ნიკოლოზის ძე — 1941 წელს დაბადებული, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ა. ნ. კუზმინის სახელობის ელექტრომეტალურგიული ქარხანა „დნეპრსპეცფოლადის“ მეფოლადე, უკრაინის სსრ ქ. ზაპოროჟიე.

კარპოვი ვლადიმერ ვასილის ძე — 1922 წელს დაბადებული, სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, ქ. მოსკოვი.

ნესტერენკო ევგენი ევგენის ძე — 1938 წელს დაბადებული, სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტი, მოსკოვის ს. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, ქ. მოსკოვი.

ნიკონოვი ვიქტორ პეტრეს ძე — 1929 წელს დაბადებული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ქ. მოსკოვი.

ნოვოჟილოვი ჰენრიხ ვასილის ძე — 1925 წელს დაბადებული, სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სამინისტროს მოსკოვის ს. ვ. ილიუშინის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის გენერალური კონსტრუქტორი, ქ. მოსკოვი.

ნიუქშა კონსტანტინე ივანეს ძე — 1938 წელს დაბადებული, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „რიგის ელექტრომანქანათსაშენებელი ქარხანის“ ზეინკალ-მეინსტრუმენტე, ქ. რიგა.

ოლენიკი ბორის ილიას ძე — 1935 წელს დაბადებული, პოეტი, უკრაინის სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ქ. კიევი.

ოსტროუხოვი ვიქტორ ალექსის ძე — 1939 წელს დაბადებული, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „ციმბირკაბელის“ პარტკომის მდივანი, ქ. ტომსკი.

პარუსოო ემელიან ნიკონის ძე — 1940 წელს დაბადებული, უკრაინის სსრ ჩერკასის ოლქის ყაშკოვოს რაიონის სუვოროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

პატონი ბორის ევგენის ძე — 1918 წელს დაბადებული, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის დირექტორი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის „ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის“ გენერალური დირექტორი, ქ. კიევი.

პოსტნიკოვი ვიქტორ ივანეს ძე — 1924 წელს დაბადებული, რუსეთის სფსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ბროილერის საწარმოო გაერთიანების „სტავროპოლსკოეს“ გენერალური დირექტორი, ქ. სტავროპოლი.

პოხოდნია გრიგოლ სიმონის ძე — 1949 წელს დაბადებული, ბელგოროდის ოლქის ბელგოროდის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის საამქროს უფროსი.

პრიმაკოვი ევგენი მაქსიმეს ძე — 1929 წელს დაბადებული, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის დირექტორი, ქ. მოსკოვი.

პუგო ბორის კარლოს ძე — 1937 წელს დაბადებული, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, ქ. მოსკოვი.

ლუნევი ვიქტორ ანდრიას ძე — 1949 წელს დაბადებული, სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „კომპრესორის“ მოსკოვის სამაცივრო მანქანათმშენებლობის ქარხანა „კომპრესორის“ ხარატი, ქ. მოსკოვი.

მანიკინი სერგეი იოსების ძე — 1923 წელს დაბადებული, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, ქ. მოსკოვი.

მარჩუკი გური ივანეს ძე — 1925 წელს დაბადებული, სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სამინისტროს მოსკოვის ს. ვ. ილიუშინის სახელობის ექსპერიმენტალური საავიაციო ქარხნის ფრეზერი.

მასკო გალინა ეგნატეს ასული 1947 წელს დაბადებული, ქ. სლონიმის № 3 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე, ბელორუსიის სსრ, გროდნოს ოლქი.

მედვედევი ვადიმ ანდრიას ძე — 1929 წელს დაბადებული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ქ. მოსკოვი.

მენდელეევი მარატ სამის ძე — 1936 წელს დაბადებული, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, ქ. ალმა-ათა.

მკრტჩიანი მისაკ ლევონის ძე — 1938 წელს დაბადებული, სომხეთის კომპარტიის ლენინაკანის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ქ. ლენინაკანი.

მოისეევი მიხეილ ალექსის ძე — 1939 წელს დაბადებული, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, ქ. მოსკოვი.

მუტალიანი მიხეილ ივანეს ძე — 1943 წელს დაბადებული, მოლდავეთის ა. ს. პუშკინის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, ქ. კიშინიოვი.

ნაზაროვი ივანე ალექსანდრეს ძე — 1949 წელს დაბადებული, სკკპ ომსკის ოლქის რუსკო-პოლიანსკის რაიკომის პირველი მდივანი.

ნაიდენოვი ნიკოლოზ ანდრიას ძე — 1936 წელს დაბადებული, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „ვორკუტაქვანახშირის“ „ცენტრალური“ შახტის გვრარაგამყვანთა ბრიგადირი, კომის ასსრ ქ. ვორკუტა.

ნესტერენკო ევგენი ევგენის ძე — 1938 წელს დაბადებული, სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტი, მოსკოვის ს. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, ქ. მოსკოვი.

ნიკონოვი ვიქტორ პეტრეს ძე — 1929 წელს დაბადებული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ქ. მოსკოვი.

ლენინგრადი ეგორ კუზმას ძე — 1920 წელს დაბადებული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ქ. მოსკოვი.

ლიხაჩოვი ალექსი დმიტრის ძე — 1928 წელს დაბადებული, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტსამმართველოს უფროსი, ქ. მოსკოვი.

ლუკიანოვი იური პროხორის ძე — 1946 წელს დაბადებული, სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს ტერიტორიულ-საწარმოო გაერთიანება „კარელტყემრეწვის“ პადანის კომპლექსური ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის ვოლომის სატყეო პუნქტის მემანქანე, კარელიის ასსრ მედვეჟეგორსკის რაიონი.

ლუკიანოვი ანატოლი ივანეს ძე — 1930 წელს დაბადებული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ქ. მოსკოვი.

ლუნევი ვიქტორ ანდრიას ძე — 1949 წელს დაბადებული, სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „კომპრესორის“ მოსკოვის სამაცივრო მანქანათმშენებლობის ქარხანა „კომპრესორის“ ხარატი, ქ. მოსკოვი.

მანიკინი სერგეი იოსების ძე — 1923 წელს დაბადებული, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, ქ. მოსკოვი.

მარჩუკი გური ივანეს ძე — 1925 წელს დაბადებული, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს მაგნიტოგორსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის დირექტორი, ქ. მაგნიტოგორსკი.

რომანენკო კაბდულა ზაკირიას ძე — 1947 წელს დაბადებული, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ყარაგანდის მეტალურგიული კომბინატის მეფოლადე, ყაზახეთის სსრ ქ. თემირთაუ.

რიეკოვი ნიკოლოზ ივანეს ძე 1929 წელს დაბადებული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ქ. მოსკოვი.

რიჩინი ევგენი სერგის ძე — 1928 წელს დაბადებული, მოსკოვის ოლქის ლიუბერცის რაიონის აგროსამრეწველო კომბინატის „მოსკოვის“ გენერალური დირექტორი, ქ. მოსკოვის მცხოვრები.

რიუმინი ვალერი ვიქტორის ძე — 1939 წელს დაბადებული, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ენერგიის“ გენერალური კონსტრუქტორის მოადგილე, მოსკოვის ოლქი, ქ. მოსკოვის მცხოვრები.

საარი ვიაინო ალექსანდრეს ძე — 1942 წელს დაბადებული, ტრესტ „ტალინმშენის“ № 4 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, ქ. ტალინი.

სამოლიჩენკო ივანე ივანეს ძე 1936 წელს დაბადებული, მექანიზატორი, ნოვოსაბირსკის ოლქის ტატარსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ორლოვსკის“ საიჯარო კოლექტივის ხელმძღვანელი.

სელეზნიოვი იგორ სერგის ძე — 1931 წელს დაბადებული, მანქანათსაშენებელი საკონსტრუქტორო ბიუროს „რადუგას“ მთავარი კონსტრუქტორი, მოსკოვის ოლქი.

სიდორეიკო ვასილ ლარიონის ძე — 1950 წელს დაბადებული, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „სურგუტნავთობგაზის“ სურგუტის № 2 საბურღ სამუშაოთა სამმართველოს ბურღვის ოსტატი, ტიუმენის ოლქი.

სლიუნკოვი ნიკოლოზ ნიკიტას ძე — 1929 წელს დაბადებული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ქ. მოსკოვი.

სმაკი ნიკოლოზ მიხეილის ძე — 1953 წელს დაბადებული, მწნეხავი, კრასნოიარსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, ქ. კრასნოიარსკი.

სპასკი იგორ დმიტრის ძე — 1926 წელს დაბადებული, ლენინგრადის საპროექტო-სამონტაჟო ბიუროს „რუბინის“ გენერალური კონსტრუქტორი და უფროსი, ქ. ლენინგრადი.

ტატარჩუკი ვალენტინ ივანეს ძე — 1937 წელს დაბადებული, სსრ კავშირის ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს სოლიკამსკის სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის დირექტორი, პერმის ოლქი.

ულიანოვი მიხეილ ალექსანდრეს ძე — 1927 წელს დაბადებული, ივგენი ვახტანგოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რუსეთის სფსრ თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ქ. მოსკოვი.

უმალატოვი საკი ზაინდინის ასული — 1953 წელს დაბადებული, სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს გროზნოს მანქანათსაშენებელი ქარხანა „კრასნი მოლოტოვი“ კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ.

უტკინი ვლადიმერ თევდორეს ძე — 1923 წელს დაბადებული, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „იუქნოეს“ გენერალური კონსტრუქტორი და გენერალური დირექტორი, უკრაინის სსრ ქ. დნეპროპეტროვსკი.

ფიოდოროვი სვიატოსლავ ნიკოლოზის ძე — 1927 წელს დაბადებული, რუსეთის სფსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის „თვალის მიკროქირურგიის“ გენერალური დირექტორი, ქ. მოსკოვი.

ფილიპოვი ვალენტინა გაბრიელის ასული — 1947 წელს დაბადებული, ალტაის მხარის ტრეტიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „ალეის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

ფალიევი ატაბალი ბაჰმას ძე — 1945 წელს დაბადებული, სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „თურქმენგაზმრეწვის“ ტრესტ „თურქმენბურღვგაზის“ სამხრეთ თურქმენეთის სადაზვერვო ბურღვის სამმართველოს ბურღვის ოსტატი, თურქმენეთის სსრ შურღაბის რაიონი.

შოროხოვი ვიქტორ ნიკოლოზის ძე — 1949 წელს დაბადებული, ტულის ვ. მ. რიაბიკოვის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის გამმართველი, ქ. ტულა.

შტეპა ვიქტორ ივანეს ძე — 1928 წელს დაბადებული, ვოლგოგრადის ოლქის კალაჩის რაიონის ვოლგოგრადის სპეციალიზებული საწარმოო გაერთიანება „ვოლგა-დონის“ გენერალური დირექტორი.

შტოიკი გარი გვიდოს ძე — 1939 წელს დაბადებული, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „აყაზეთპოლიმეტალის“ აღმოსავლეთ ყაზახეთის სპილენძ-ქიმიური კომბინატის დირექტორი, ყაზახეთის სსრ შემონაიხის რაიონი.

შუქშინი ანატოლი სტეფანეს ძე — 1947 წელს დაბადებული, სსრ კავშირის მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის ქარხნის მხეხავი, ქ. ხაბაროვსკი.

ჩებრიკოვი ვიქტორ მიხეილის ძე — 1923 წელს დაბადებული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ქ. მოსკოვი.

ჩერნიაევი ანატოლი სერგის ძე — 1921 წელს დაბადებული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე, ქ. მოსკოვი.

ხმელი ვალენტინა პეტრეს ასული — 1939 წელს დაბადებული, ანგარსკის მშენებლობის სამართველოს № 5 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მომპირკეთებელთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, ირკუტსკის ოლქი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

14 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განიხილეს საკითხები:

1988 წელს და მეთორმეტე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება მაქსიმალურად უნდა მოხმარდეს უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტას, — საბჭოთა ადამიანების სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სახალხო მეურნეობის რგოლების უმრავლესობის მუშაობის პრაქტიკული ორიენტირი ხდება მომხმარებლის უშუალო ინტერესები, ადამიანის ინტერესები.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება ეკონომიკის განვითარების სოციალური მიზანმიმართულობის ძალიერების სტაბილური ტენდენცია. ამას მოწმობს ის, რომ მოხმარებისა და არასაწარმოო მშენებლობისათვის გამოყენებულმა ეროვნული შემოსავლის წილმა 1988 წელს შეადგინა 83 პროცენტი ხუთწლიანი გეგმით გაანგარიშებული 79 პროცენტის ნაცვლად. კაპიტალური დაბანდების წილი არასაწარმოო სფეროში მთის საერთო მოცულობაში 1985 წლის 21,8 პროცენტიდან 1988 წელს გაიზარდა 24,4 პროცენტამდე. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საშუალოდ მომდინარე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე გაიზარდა 2,7 პროცენტით, ხოლო 1988 წელს — 3,5 პროცენტით მეთორმეტე ხუთწლედის 2,1 პროცენტის ნაცვლად. საცხოვრებელი ბინების საშუალო წლიურმა ამოქმედებამ შეადგინა 127 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი, რაც 16,5 პროცენტით მეტია წინა ხუთწლეულის შესაბამის პერიოდთან შედარებით. 1988 წელს სახალხო მოხმარების საქონლის გაყიდვის მოცულობა 1987 წელთან შედარებით გაიზარდა 25 მილიარდი მანეთით. მოსახლეობის ფასიანი მომსახურება ყოველწლიურად მატულობდა საშუალოდ 11 პროცენტით.

ამასთანავე სხდომაზე გამოსულმა სსრ კავშირის მთავრობის წევრებმა აღნიშნეს სირთულე, წინააღმდეგობრიობა და მკვეთრი კონტრასტების გამოვლინებანი პროცესებში, რომლებიც ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის შეცვლასთან არის დაკავშირებული. საცხოვრებელი სახლების ამოქმედების მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად ბინის პრობლემის სიმწვავე არ ცხრება. ზზრად საცხოვრებელი ბინების ხარისხი ვერ არის დამაკმაყოფილებელი. საქონლბრუნვის ზრდის მიუხედავად არ გადაჭრილა გადახდისუნარიანი მოთხოვნის დაკმაყოფილების პრობლემები, აშკარად არ არის საკმარისი მოსახლეობის მომსახურების მოცულობა.

იმისათვის, რომ არსებითად გადგეულმჯობესებინა საქმის მდგომარეობა სოციალურ სფეროში, უნდა მოგვეღწია მიჯნებისათვის, რომლებიც განსაზღვრული იყო ხუთწლედის დავალებებით ეკონომიკის განვითარების ეფექტიანობის დარგში. მაგრამ ამის გაკეთება ვერ შევძელითო. ნელი ტემპით ზრდიელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. არ სრულდება მოწინავე საბაზო ტექნოლოგიების დანერგვისა და დარგების ტექნიკური განახლების დავალებანი. რესურსდაზოგვა ჯერაც არ გამხდარა მატერიალურ რესურსებზე სახალხო მეურნეობის დამატებითის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გადამწყვეტი ფაქტორი. რადიკალური საეურნეო რეფორმა ჯერ კიდევ ვერ ახდენს სათანადო გავლენას წარმოების ინტენსიფიკაციაზე. ამის შედეგად სამი წლის განმავლობაში ხუთწლიან გეგმასთან შედარებით დაგეკლდა 25,4 მილიარდი მანეთი ეროვნული შემოსავალი, აქედან 1988 წელს — 13,3 მილიარდი მანეთი.

მდგომარეობა კიდევ უფრო გაიღრმავა იმან, რომ პრაქტიკულად ქვეყნის არც ერთ რეგიონში არ არის შეწონასწორებული მოსახლეობის შემოსავალ-გასავალი, ხოლო მიმოქცევაში არსებული ფულის მასა არ არის უზრუნველყოფილი საქონლითა და ფასიანი მომსახურებით.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ფულის მიმოქცევის დარღვევები უწინარეს ყოვლისა გამოიწვია რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთი ფუძემდებელი პრინციპის — წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში მშრომელთა ფულადი შემოსავლის მასტიმულირებელი როლის, შრომის ნაყოფიერების ზრდასთან და პროდუქციის გამოშვების გადიდებასთან მათი მჭიდრო ურთიერთკავშირის პრინციპის დამახინჯებამ. ამის შედეგად ყველგან გავრცელდა ისეთი ნეგატიური მოვლენები, როდესაც შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპი წინ უსწრებს მისი ნაყოფიერების გადიდებას, რაც ბევრ დარგსა და რეგიონში უშუალოდ არის დაკავშირებული გამოუშუშავებელი ფულის გადაზდის მანკიერ პრაქტიკასთან.

ასეთ პირობებში აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ძალისხმევა საკონლითა და მომსახურებით სამომხმარებლო ბაზრის გასაჯერებლად. ბევრი საწარმო და ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს მათი წარმოების სახელმწიფო შეკვეთების შესრულებას, უსაფუძვლოდ ამცირებს იაფი ნაწარმის გამოშვებას. ქვეყნად მთელ რიგ რეგიონებში სუსტად იყენებენ შრომითი საქმიანობის კოოპერაციული და ინდივიდუალური ფორმების შესაძლებლობებს.

ამის გამო სხდომაზე მკაცრად გაკიცხეს სხვადასხვა უწყებათა-სამინისტროთა ხელმძღვანელები — სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრი ნ. ა. პუგინი, სსრ კავშირის სახლსაშენებელი მრეწველობის მინისტრი ნ. ა. პანიჩვი, სსრ კავშირის ქიმიური მანქანათმშენებლობის მინისტრი ვ. მ. ლუკიანენკო, საგზაო მანქანათმშენებლობის მინისტრი ე. ა. ვარნაჩევი, აგრეთვე რუსეთის სფსრ, უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, საქართველოს სსრ, ლატვიის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, 1988 წელს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ვაჭრობისათვის მიწოდების დადგენილ დავალებათა ჩაშლისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ძირფესვიანად შეიცვალოს დამოკიდებულება ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, სსრ კავშირის სახაგრომრეწვამ, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ და „ცენტროსოიუზმა“. აგროსამრეწველო კომიტეტებისა და გაერთიანებების საქმიანობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს შედეგად მოჰყვა ის, რომ ბოსტნეულის, ხილისა და კარტოფილის მოხმარება ქვეყნის ბევრ რეგიონში არა თუ არ იზრდება, არამედ კლებულობს კიდეც.

მაგალითად, უკანასკნელი წლების მანძილზე ბოსტნეულისა და ბაღჩეულის მოხმარება უზბეკეთის სსრ რესპუბლიკაში 107 კილოგრამიდან შემცირდა 93-მდე, ვლადიმირის ოლქში — 98-დან 80-მდე, ტულის ოლქში — 92-დან 81-მდე, მარეთის ასსრ რესპუბლიკაში — 89-დან 67 კილოგრამამდე.

ყოველად შეუწყნარებელი მდგომარეობა შეიქმნა ხილის წარმოებაში. უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე ქვეყანაში ბაღების ფართობი შემცირდა 830 ათასი ჰექტარით, ანუ 30 პროცენტით. როსტოვის ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მათი ფართობი შემცირდა 89 ათასიდან 53 ათას ჰექტარამდე, დაღესტნის ასსრ-ში 55-დან 34-მდე, ტამბოვის ოლქში — 31-დან 16-მდე, ტერნოპოლის ოლქში — 13-დან 5-მდე, ხერსონის ოლქში — 22-დან 12 ათას ჰექტარამდე. პრაქტიკულად თავი მიანებეს მებაღეობას მოსკოვის ოლქის მეურნეობებში, სადაც 19,6 ათასი ჰექტარიდან სულ მხოლოდ 4,3 ათასი ჰექტარი ბაღი დარჩა.

ერთ-ერთ მთავარ ნაკლს, რომელიც აბრკოლებს კარტოფილით, ბოსტნეულითა და ხილით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებას, წარმოდგენს ჯერ ორგანიზაციული საკითხის გადაუჭრელობა. [illegible] ... ინტენსიფიკაციის [illegible] ... ინტენსიფიკაციის [illegible] ... ინტენსიფიკაციის

ღვაწლი

კვლავ ახალგაზრდული შემართებით



ირაკლი ციციშვილი ერთ-ერთი პოპულარული პიროვნება გახლავთ საქართველოში და ეს მისი პირადი თვისებებითა და მოვლენებით აღსავსე ცხოვრებით არის განპირობებული. მისი ბიოგრაფია იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანია, რომ ბარე რამდენიმე მოკვდავზე შეიძლებოდა გადანაწილება. მისი პოპულარობა 1948 წლის ოქტომბრის მიწურულში, ერთ ქარცეცხლიან დღეს დაიწყო, როდესაც ნავთ დნეპრის ტალღებში შეეცურდა და, ხიდების მშენებელთა მიერ დაწესებული ტრადიციული რიტუალის მიხედვით, იმ ხიდის ქვეშ გაჩერდა, მისი ხელმძღვანელობით რომ აშენდა რამდენიმე დღე-ღამეში მტრის განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ. იმ წუთებში მის თავს ზემოთ ხიდზე ოცდაათტონიანი ტანკები გადადიოდნენ დნეპრის მეორე ნაპირზე. ერთი ღამის განმავლობაში დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ასობით ტანკი, ათასობით ქვემეხი და ავტომაქანა გადადგა კიევის გასათავისუფლებლად. კაპიტან ციციშვილს ხაბეოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

მოხდა ისე, რომ ინსტიტუტის დამთავრება სამამულო ომის დაწყებას თანხვდა და 22 წლის ჯაბუკმა 1941 წლის ივლისში ჯარისაკაცის ფარაჯა ჩაიცვა, რომელიც ომის დამთავრებამდე ატარა. იგი იბრძოდა მოსკოვის მისადგომებთან, კიევთან, სტალინგრადთან, პრაღასთან. ომც მტრის ტყვეა აცდენია. თბილისს 1945 წელს დაუბრუნდა ჯალმოხდილი, მხედრული ჯილდოებით დამშვენებული.

ცხადია, ომიდან დაბრუნებულ გმირს შემდგომი ცხოვრების გზის არჩევის ფართო შესაძლებლობები ექნებოდა. ირაკლი ციციშვილი უყოყმანოდ აკეთებს არჩევანს. იგი არ ღალატობს სიყმაწვილის ოცნებას, ქართული კულტურის, ხუროთმოძღვრების სამსახურს. უბრუნდება საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, სადაც გატაცებით კითხულობს ხელოვნების ისტორიის კურსს. პარალელურად, სიმონ ჯანაშიას წინადადებით, მეცნიერულ წრთობას ღებულობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში. ამ წლებში წარმოჩინდა მისი, როგორც ლექტორისა და პროპაგანდისტის, ნიჭი. იგი ახლაც აქტიურად მოღვაწეობს საზოგადოება „ცოდნის“ ეგიდით. ხშირად დაინახავთ საპროექციო აპარატთა და სლაიდებით დატვირთულს, მიმავალს დაწესებულებებსა და საწარმოებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სკოლებში, სადაც ბუდამ სასურველი სტუმარია და დაუღალავად ეწევა ქართული კულტურის პროპაგანდას. მის ლექციებს ნიადაგ დიდი ინტერესით ისმენს ხალხმრავალი აუდიტორია, და ამას განპირობებს ფართო ერუდიცია, ორატორული ხელოვნება, მრავალმხრივი განათლება და ტემპერამენტი. იგი სისტემატურად გამოდის ტელევიზიით. ლექციების ციკლი და მოხსენებები აქვს წაკითხული საბერძნეთში, იტალიაში, ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში...

1945 წლის სექტემბერში ირაკლი ციციშვილმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურული პროექტირების კათედრის ასისტენტად დაიწყო მუშაობა და ამის შემდეგ, რა თანამდებობაზეც უნდა იყოს, კავშირს არ წყვეტს კათედრასთან. არქიტექტურული სკოლა მისი მოღვაწეობის მარადიულ ასპარეზად რჩება.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოღვაწეობის დაწყებიდან ათი წლის თავზე იგი უკვე არქიტექტურის კათედრის გამგეა და დღემდე დიდი ხალისით უძღვება ამ პასუხსაგებ საქმეს. მან უშუალო მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტში არქიტექტურის ფაკულტეტის დაარსებაში, კითხულობს ლექციებს სახვითი ხელოვნების, არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე და სპეციალურ კურსს. მისი ხელმძღვანელობით პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურული სკოლა ერთ-ერთი მოწინავე გახდა ხაბჭოთა კავშირში. კათედრაზე დამუშავებული სტუდენტების სადიპლომო პროექტები, 1967 წლიდან მოყოლებული, სისტემატურად აღინიშნება უმაღლესი პრემიებით საერთაშორისო დათვალიერებებზე. ამ გარემოებამ განაპირობა არქიტექტურის ფაკულტეტის შემოქმედებითი კავშირები ევროპის მრავალი ქვეყნის (ინგლისის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის) არქიტექტურულ სკოლებთან.

1969 წელს ი. ციციშვილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა განყოფილების გამგედ ინიშნება, ხოლო 1970-დან 1978 წლამდე იგი საქართველოს სსრ სახმწიფოს თავმჯდომარეა. ამ პერიოდში დარსულდა საქართველოს რესპუბლიკის რაიონული დაგეგმარების სქემის შედგენა, შეიქმნა საქართველოს მრავალი ქალაქის გენერალური გეგმა. ირაკლი ციციშვილის სახელი მჭიდროდ უკავშირდება ძეგლების დაცვისა და რესტავრაციის საქმეს. 1978 წლიდან იგი ხელმძღვანელობს ახლად შექმნილ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს. არჩეულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, პარტიული კომისიის წევრად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ირაკლი ციციშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია არქიტექტორთა კავშირი. 1947 წლიდან მოყოლებული მას რეგულარულად ირჩევენ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრად, 1961 წლიდან კი სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრად.

ასეთ მრავალმხრივ მოღვაწეობასთან ერთად ბატონი ირაკლი, ორმოც წელზე მეტია, დიდი წარმატებით ეწევა სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას. 1946 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, 1960 წელს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხი მიიღო, 1962 წლიდან კი პროფესორია. 1967 წელს ენიჭება საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. 1945-1960 წლებში, როგორც ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, მონაწილეობდა მრავალ არქეოლოგიურ ექსპედიციაში, ძეგლების აზომვებში და სარეკონსტრუქციო სამუშაოებში. სწორედ ამ პერიოდში, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის ადრინდელი ხანის ზოგიერთი საკითხის გაშუქების მიზნით, მან განაზოგადა ვრცელი მეცნიერული მასალა.

ირაკლი ციციშვილი ასზე მეტი პუბლიკაციის ავტორია. მათ რიცხვშია 18 მონოგრაფია, განსაკუთრებით აღსანიშნავია, „ქართული ხუროთმოძღვრების სათავეები“ (1955), „ქართული არქიტექტურის ისტორია“ (1955), „საქართველოს არქიტექტურა“ (5. ჯანბერიძესთან ერთად, 1976), „უჯარმა“ (1982). ორმოცზე მეტი პუბლიკაცია მიუძღვნა მან არქიტექტურის თანამედროვე პრობლემებს — განსახლების საკითხებს, ტრანსპორტის პრობლემებს, საბინაო მშენებლობას, გარემოს დაცვას. ბოლო წლების მანძილზე მკვლევარის ყურადღება მიიპყრო ქალაქთმშენებლობის პრობლემებმა. ამას მოწმობს მის მიერ გამოქვეყნებული შრომები: „ქალაქთმშენებლობა საქართველოში“, „ქალაქების რეკონსტრუქციის საკითხები“, „საქართველოს ქალაქების ძველი რაიონების რეკონსტრუქცია-რეგენერაცია“. ავტორმა დაასრულა ფუნდამენტური ორტომეული შრომა — „ქართული ქალაქთმშენებლობის ისტორია“.

ირაკლი ციციშვილის ღვაწლის ესოდენ ძუნწი ჩამოთვლაც მიგვანიშნებს მისი ინტერესების დიდ დიაპაზონზე, მის ინტენსიურ პროფესიულ, საზოგადოებრივ, მოქალაქეობრივ ცხოვრებაზე. მის სახელს ნიადაგ ახლდა ეპითეტი — „ახალგაზრდა“ („ახალგაზრდა გმირი“, „ახალგაზრდა კათედრის გამგე“, „ახალგაზრდა პროფესორი“). და აი, თითქოს მოულოდნელად, ახალგაზრდა კაცს 70 წელი შესრულებია! თუმცა კვლავაც ახალგაზრდულად გამოიყურება და გვეუბნება, რომ შემდგომშიც დიდხანს ასევე ახალგაზრდული შემართებით განაგრძობს ცხოვრებას და მოღვაწეობას.

თენგიზ კვირკველია,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სალაქაო და სამრეწველო შენობათა არქიტექტურის კათედრის გამგე, არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი.

• • •

ქვემოთ ვაქვეყნებთ ჩვენი იუბილარის წერილს.

წერილი „კომუნისტს“

ნდობა თუ უნდობლობა?!

ანტიკური ნაქალაქარის ძალისის გათხრებისას აღმოჩენილია ე. წ. „დიონისეს ოთახი“ და რომული ტიპის აბანო, სადაც შემორჩენილია მოზაიკური იატაკის ნაწილი. მოზაიკა ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნის დამდეგს განეკუთვნება და მხატვრული ღირებულებითაც ფრიად მნიშვნელოვანია. მოზაიკის დასაცავად საგანგებო პავილიონი აიგო, ხოლო 1981 წელს უკრაინის სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სამმართველოს ჯგუფი (ხელმძღვანელი — ო. დომბროვსკი, შემსრულებელი მხატვარ-რესტავრატორი — ი. კრავჩენკო) მოვიწვიეთ მის გასამაგრებლად. სამწუხაროდ, ამ ჯგუფმა, რომელიც ერთადერთია მთელ კავშირში, მხოლოდ ორიოდე წელიწადი იმუშავა და საქმეც დაუმთავრებელი დარჩა.

ამჯერად მოზაიკის გამაგრება დაეკალა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელს თ. თოდუას, რომელმაც ადრე წარმატებით გაამაგრა ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკური იატაკი.

მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი საქმე ხომ დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით შარშან, ნოემბერში რუმინელი სპეციალისტები — ქალაქ კონსტანცის ეროვნული ისტორიისა და არქეოლოგიის მუზეუმის დირექტორი ადრიან რადულესკუ, ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრე ეფრემოვი და ბუჭარესტის ხელოვნების ინსტიტუტის ქიმიკოს-რესტავრატორი მოან იშტუდორი გეეწვივნენ. (როგორც ცნობილია, 1961 წელს კონსტანცაში, გაითხარა რომაული ქალაქის ტომისის ნაგებობანი და მათ შორის დიდი დარბაზი მოზაიკური იატაკით).

სტუმრებმა დაათვალიერეს ძალისისა და გელათის მოზაიკები, ესაუბრნენ მხატვარ-რესტავრატორთ, დასასრულ კი მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში საგანგებო თათბირი გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ აკადემიკოსი ა. აფაქიძე, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს წარმომადგენელი, არქეოლოგები, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის წარმომადგენლები, რესტავრატორები და სტუმრები.

რუმინელმა სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს ქართველ რესტავრატორთა (კ. ბაკურაძე, თ. თოდუა) ოსტატობა და მათი მეთოდებიც მოიწონეს. უნებლიეთ გვებადება კითხვა: ხომ არ ვცდებით, როცა ჩვენსავე სპეციალისტებს უნდობლობას ვუცხადებთ და რატომღაც უცხოელებზე ვამყარებთ მთელ იმედს?! ამაზე თუ უთქვამთ, შინაურ მოვდელს შენდობა არა აქვსო! გავიხსენოთ სხვა მაგალითებიც, თუნდაც ის, რომ შარშან იუგოსლავიიდან მოწვეულმა სპეციალისტმა, პროფესორმა ბ. მადინმა მთლიანად დაადასტურა გელათის მოზაიკის აღდგენისას გამოყენებული ბაკურაძისეული მეთოდის მართებულობა.

რესტავრატორ თ. თოდუას მიაჩნია, რომ ძალისის მოზაიკა ნაწილ-ნაწილ უნდა მოიხსნას, ლაბორატორიულ პირობებში გამაგრდეს ფილაზე და მხოლოდ ამის შემდეგ დამონტაჟდეს ადგილზე, საგანგებოდ მოწყობილ საფუძველზე. ძალისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ა. ბოხოჩაძე კი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას და მოზაიკის ადგილზე გამაგრებას მოითხოვს. რუმინელ სპეციალისტთა აზრით, მოზაიკის მოცრა და სათანადო საფუძვლის შექმნა აუცილებელია, მაგრამ თბილისში მის ტრანსპორტირებისაგან თავი შეიკავეს და ადგილზე მუშაობა გვირჩიეს.

ნაჩქარევი ან მოუფიქრებელი ნაბიჯი რომ არ გადაიდგას, როგორც თათბირმა გადაწყვიტა, საჭიროა დროულად გაკეთდეს მოზაიკური იატაკისა და მის ქვემოთ არსებული ნიადაგის სფუძვლიანი ქიმიური ანალიზი, შემდეგ კი თ. თოდუამ წარუდგინოს კომისიას სათანადო მეთოდიკა, დასაბუთებული სამუშაო გეგმა და გრაფიკი. ამასთან, ქართველ სპეციალისტთა რუმინეთსა და სხვა ქვეყნებში მიღებულიც გადაწყდა გამოცდილების გაზიარების მიზნით. რუმინელმა სპეციალისტებმა აღგვითქვეს, რომ მზად არიან ყოველნაირი დახმარებისთვის და მიესალმებიან ამგვარ თანამშრომლობას.

ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო უკვე ამუშავებს ძალისის ნაქალაქარის ნაგებობათა დაცვის ვრცელ პროგრამას, რაც შეეხება მოზაიკის გამაგრებას, ამის თაობაზე კვლავ ვაუწყებთ საზოგადოებრიობას.

ირაკლი ციციშვილი.

რედაქციისაგან:

წერილი უკვე აწყობილი იყო, როდესაც შევიტყვეთ, რომ ამასწინათ გამართულ თათბირზე საბოლოოდ დადგინდა ძალისის მოზაიკის ნაწილ-ნაწილ მოხსნა, მისი ლაბორატორიულ პირობებში აღდგენა და შემდგომ ადგილზე, საგანგებოდ მომზადებულ საფუძველზე დამაგრება.

კონტაქტები

გოეთეთი — სტუმრად გოეთესთან

ნაპირწერმა აფიშებმა მაინის ფრანკფურტის მცხოვრებლებს აუწყეს ქართველი სტუმრების ვიზიტი. თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის უცხო ენათა კაბინეტთან არსებული გერმანული დრამატული წრის წევრებს ხვდებოდნენ ელზა ბეტინის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეები და მასწავლებლები, რომელთა ოჯახებშიც დასახლდნენ ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი ნარგაზავნილები.

— სსრ კავშირის შესახებ, უნდა ვალიაროთ, ზოგიერთმა იქ არც თუ ისე ბევრი იცის, — თქვა წრის ხელმძღვანელმა, გერმანული ენის მასწავლებელმა ქეთევან მებონიამ.

მათთვის მით უფრო მოულოდნელი აღმოჩენა იყო ორიგინალური ინსცენირებები, ნაწყვეტები სპექტაკლებიდან, რომლებშიც შორეული საქართველოდან ჩასული ბავშვები თავისუფლად ლაპარაკობდნენ გოეთეს, შილერის, მანის ენაზე.

ქართველები ადიოდნენ სცენაზე: ნინო დარასელი — გრეტჩენის კაბით, ირაკლი ფაღავა — ფაუსტისა და დონ კარლოსის, ირაკლი უშვერიძე — მეფისტოფელისა და იოჰან ბუდენბროკის კოსტიუმებით...

კოლექტივი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შემთხვევით როდი აღმოჩნდა. მდიდარ გერმანულ კლასიკურ რეპერტუარს, უცხო ენის თავისუფალ ფლობას ეროვნულ დრამატულ ტემპერამენტთან შეხამებით არა ერთხელ მიუპყრია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან საქართველოში ჩასულ სტუმართა ყურადღება. ამას მოჰყვა მიპატიჟება გოეთეს სამშობლოში.

წრის მონაწილეთა აღიარება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მრავალი ნორჩი მაყურებელი თვითონ იყო გიმნაზიასთან არსებული ახალგაზრდული თეატრის მონაწილე. ისინი არა მარტო აქტიურად უკრავდნენ ტაშს ახალ მეგობრებს, არამედ იკისრეს კიდეც სპექტაკლების დროს ტექნიკურ თანამემწეთა, სპექტაკლების შემდეგ — გიდების როლი.

საღამოებზე წაიკითხეს ნაწყვეტები გ. ტაბიძის, ნ. დუმბაძის, მ. ლებანიძის ნაწარმოებებიდანაც.

— თავიდან გერმანულ ენაზე ვკითხულობდით, ამ ნაწარმოებებს, რომლებიც სპეციალურად ჩვენთვის თარგმნა მ. ცხვედაძემ, — თქვა შემდეგ ქეთევან მებონიამ, — მაგრამ შემდეგ ჩვენ გვთხოვეს ორიგინალში წაგვეკითხა ისინი. დარბაზში გამეფებულმა სიჩუმემ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მეგობრობის ენას არ სჭირდება თარგმანი.

სწორედ ამაზე ილაპარაკა ცნობილმა თეატრალურმა რეჟისორმა პერმან ვედეკინდმა — საქართველოში მთელი რიგი დადგმების ავტორმა. ამ ფრანკფურტელმა თავისი 78 წლისთავი აღნიშნა საქართველოს ნორჩ ნარგაზავნილთა წრეში. მის მისალმებაში იყო ასეთი სიტყვები: „ხელოვნებამ, ისე როგორც მეგობრობამ, არ იცის საზღვრები. განაგრძეთ ასეთივე ენთუზიაზმითა და ნიჭით“.

(საძინფორმი).

ამერიკელი სტუდენტები საქართველოში

მასაჩუსეტსის შტატის უილიამს კოლეჯის ოცდახუთ სტუდენტს მეცადინეობა დაეწყო შინდად ათასობით კილომეტრზე, თბილისის უნივერსიტეტში. ამერიკის უმაღლესი სასწავლებლის — ჩვენი უნივერსიტეტის პარტნიორის წარმოგზავნილთათვის წაკითხული პირველი ლექციაა საქართველოს ისტორიას მიეძღვნა.

თბილისის უნივერსიტეტი პარტნიორობს სახლვარგარეთის ბევრ სასწავლებელს, მათ შორის — უილიამს კოლეჯსაც, აგერ უკვე ორი წელია. ეს ამერიკის პირველი უმაღლესი სასწავლებელია, რომელთანაც თბილისის უნივერსიტეტს უშუალო კავშირი აქვს დამყარებული. დღემდე ჩვენი ურთიერთობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტთა გაცვლა-გამოცვლით სასწავლო-გაცნობითს პრაქტიკებზე. მიმდინარე წლიდან კი იწყება სტაჟიორების გაგზავნა. თანამშრომლობის პროგრამის გაფართოება და ხელშეკრულების გახანგრძლივება წლევანდელ შემოდგომაზე მოეწყობა, როდესაც ქართველ სტუდენტთა ჯგუფი საპასუხო ვიზიტად ეწვევა უილიამს კოლეჯს.

— ჩემი ამხანაგებისაგან განსხვავებით, — თქვა ლიზი სკოტმა, მე უკვე მეორედ ჩამოვდივარ საქართველოში. ძალიან მოგწონა აქაურობა. საბჭოთა სტუდენტებს შორის მყავს ბევრი ამხანაგი, რომლებიც ჩვენთან იყვნენ სტუმრად გასულ წელს. ძალიან მინდოდა, თბილისის უნივერსიტეტში გამევლო სტაჟირება, რათა შემესწავლა ქართული ენა და მესაუბრა ჩემს მეგობრებთან ნესტან რატიანთან და თეა ხოფერიასთან მათს მშობლიურ ენაზე ისევე, როგორც ისინი მესაუბრებიან ინგლისურად.

საქართველოს ისტორიის, კულტურის, ეკონომიკის, გეოგრაფიისადმი მიძღვნილი ლექციების მოსმენასთან ერთად საქართველოში სამი კვირის მანძილზე ყოფნის დროს ამერიკელ სტუდენტებს მოელით საინტერესო მოგზაურობა საქართველოს რაიონებში, ისინი დაისვენებენ გუდაურის პოპულარულ სამთოსათხილამურო კურორტზე, დაათვალიერებენ ძველთაძველ არქიტექტურულ-ისტორიულ ძეგლებს, გაეცნობიან მუზეუმებს, მხატვართა სახელოსნოებს, დაესწრებიან ფოლკლორული ანსამბლების კონცერტებს, ქართული თეატრების სპექტაკლებს, ესტუმრებიან „ქართული ფილმის“ კინოსტუდიას. (საძინფორმი).

თეატრალური პრემიერები



„იულიუს კეისარი“ აფხაზურ სცენაზე

აფხაზეთის ს. ჭანბას სახელობის „სპპატიო ნიშნის“ ორდენოსან სახელმწიფო დრამატულ თეატრში ახალი სეზონი დაიწყო შექსპირის ერთაქტიანი ტრაგედიით „იულიუს კეისარი“.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ე. კოვე, მხატვარი — ბ. ჯოპუა.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „იულიუს კეისარი“.

საძინფორმის ფოტო.

სპორტის ამბები

კარპოვი ემზადება

მოსფილიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩებიდან ერთი უკვე შარშან, აგვისტოში ჩატარდა. ჯონათან სპილმენმა (ინგლისი) ანგარიშით 3,5:1,5 დაამარცხა თავისი თანამემამულე ნიჯელ შორტი და ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალის დანარჩენი სამი მოთაწილე ანატოლი კარპოვისა და იოჰან ჰიარტარსონის (ისლანდია), ლაიოშ პორტიშისა (უნგრეთი) და იან ტიმანის (ჰოლანდია), არტურ იუსუპოვისა და კეენნ სპრაგეტის (კანადა) მატჩებში უნდა გამოვლინდეს.

კარპოვისა და ჰიარტარსონის მატჩი 28 იანვარს სიეტლში (აშშ) უნდა დაიწყოს. აშშ-ს ამ ქალაქს ადგილობრივი პირობების გასაცნობად მსოფლიოს ექსჩემპიონი ამასწინათ ეწვია.

სიეტლში მატჩისათვის ძალზე კარგი პირობებია შექმნილი, — განაცხადა ორგანიზატორებთან საუბარში კარპოვმა. იგი შეხვდა აშშ-ს უძლიერეს დიდოსტატ იასერ სეირავანს, რომელიც სიეტლში ცხოვრობს, დათვალიერა დარბაზი, სადაც უნდა ითამაშოს და, სხვათა შორის, ორგანიზატორებს ისიც ჰკითხა, ხომ არ ჩაატარებენ შემდეგში მატჩს მსოფლიო პირველობაზე გარი კასპაროვსა და პრეტენდენტთა ასპარეზობაში გამარჯვებულს შორის. საჭადრაკო ექსპერტების აზრით, კარპოვის ასეთი დაინტერესება იმას ნიშნავს, რომ იგი სავსებით დარწმუნებულია კასპაროვთან ახალი მატჩის უფლების მოპოვებაში. საამისოდ კარპოვმა ჯერ ჰიარტარსონს უნდა მოუგოს, შემდეგ ნახევარფინალში პორტიშ-ტიმანს შორის გამარჯვებულს სძლიოს, წლის ბოლოსთვის კი წარმატებას მიაღწიოს პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში. თვით მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვიც ფიქრობს, რომ გაისად მას ანატოლი კარპოვი შეხვდება.

საჭადრაკო კომენტატორები მიიჩნევენ, რომ სიეტლის კანდიდატურა, როგორც მსოფლიო პირველობის მატჩის ორგანიზატორისა, უდავოდ ანგარიშგასაწევია, მით უმეტეს, ჯერჯერობით ამ ორთაბრძოლის ჩატარების ერთადერთ პრეტენდენტად ქ. ოკლენდი (ახალი ზელანდია) ითვლება.

გვინდოდა გვერდუნა სასწაული

ერევნის საავადმყოფოს ექიმები განაგრძობენ აიკაზ აკოფიანის სიცოცხლისათვის ბრძოლას და სჯერათ, რომ შეძლებენ მის გადარჩენას. სამწუხაროდ, ეს 50 წლის ლენინაკანელი მცხოვრები მრავალი გაზეთის ფურცლებზე გაჩენილი იმ მცდარი ცნობის მიზეზი გახდა, რომ ქვის ტყეობიდან „სასწაულით“ გაანთავისუფლეს ექვსი მოქალაქე, რომლებიც თითქოსდა 35 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ ცხრასართულიანი სახლის ნანგრევებით დაფარულ სარდაფში.

ჩვენ პირველებმა გადმოვეცით ეს ცნობა და დღეს გვინდა ბოდიში მოვუხადოთ მკითხველებს. მთელი ამ დღეების მანძილზე გაწეულმა საგულდაგულო ძიებამ არ დაადასტურა ვერსია, რომელიც ესოდენ გვინდოდა გვერწმუნა. რა გახდა შეცდომის მიზეზი? აკოფიანის ავადმყოფური წარმოსახვა, რომლის მონაყოლი მოვისმინეთ არა მარტო ჩვენ, არამედ მილიონობით ტელემაყურებელმა საავადმყოფოდან გადმოცემული რეპორტაჟის დროს! წუხილისა და იმედების საერთო ატმოსფეროში, რომლითაც ცხოვრობს შემზარავი კატასტროფის მომსწრე რესპუბლიკა ასეთი ანგარებიანი ჩანაფიქრი? დღეს ძნელია ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა.

ერთი რამ უდავოა: იმისათვის, რომ დღეს სომხეთში ნებისმიერმა დაშავებულმა ადამიანმა მიიღოს კვალიფიციური დახმარება, სრულიადაც არ არის საჭირო მიმართოს მსგავს უკიდურესობებს, — ახე განმარტა მომხდარი ამბავი რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ე. ს. გაბრიელიანმა. (საკდესი).

უკსოფოლი

საკავშირო ინფორმაციული ბიულეტენი

16 იანვარი

ინფორმაცია

● ავღანეთი

შეხვედრა პრემიერთან

ქაბული. ქაბულში სამუშაო ვიზიტად მყოფი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე 14 იანვარს შეხვდა ავღანეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ზ. ბ. ზარკს.

გაიმართა დაინტერესებული საუბარი ავღანეთში და მის ირგვლივ შექმნილი ვითარების საკითხებზე, რომელსაც ახლა განსაკუთრებით პასუხსაგები პერიოდი უდგას. მხარეებმა აღნიშნეს, რომ ავღანეთის პრეზიდენტის და მთავრობის კონსტრუქციული პოზიცია საჭირო საფუძველს ქმნის პოლიტიკური მოწესრიგების გზების შემდგომი ძიებისთვის. რესპუბლიკის ახლანდელი მთავრობის საქმიანობის მაგალითი, რომელშიც წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა პარტიებისა და უპარტიო წარმომადგენელთა თანამშრომლობა, მოწმობს, რომ ავღანელებს შეუძლიათ აწარმოონ უფრო ფართო, საერთო-ეროვნული დიალოგი მათი ქვეყნის მომავლის ყველა საკითხზე.

● ავსტრია

მეიღეს შემაჯამებელი დოკუმენტი

ვენა. ვენის შეხვედრაზე ევროპის 33 სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ყველა წარმომადგენლის — ჰელსინკის პროცესის მონაწილეთა თანხმობით (კონსენსუსით) მიიღეს შემაჯამებელი დოკუმენტი. შეხვედრის ოფიციალური დახურვა გაიმართება 17-19 იანვარს საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.

შინაარსიანი, შეწონასწორებული შემაჯამებელი დოკუმენტი კონტინენტის უშიშროებისა და თანამშრომლობას ანიჭებს ახალ თვისებას ყველა პარამეტრის — სამხედრო-პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, ეკოლოგიური, ჰუმანიტარული, სამართლებრივი და სხვა პარამეტრების მიხედვით. საყოველთაოდ არის აღიარებული ის უნიკალური ზეიმქმედება, რომელიც ვენის შეხვედრის წარმატებით დამთავრებაზე მოახდინა მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლამ ევროპის ჰუმანიტარული კონფერენცია, როგორც ამ თემატიკაზე ფორუმების მესამე დამამთავრებელი ეტაპი. (სხვა ფორუმები გაიმართება პარიზში 1989 წელს და კოპენჰაგენში 1990 წელს). საგრძნობლად ვითარდება თანამშრომლობა ეკონომიკაში, ეკოლოგიასა და მეცნიერებაში: გაიმართება თათბირები ბულგარეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ვენის ანალოგიური შემდეგი სრულიად ევროპის შეხვედრა გაიმართება 1992 წელს ჰელსინკში.

აქ საერთო აზრია, რომ ვენის წარმატება — ეს არის ევროპისა და საერთაშორისო საქმეებში ახალი აზროვნების წარმატება, ღირსშესანიშნავი მოვლენა ევროპის ომისშემდგომ ცხოვრებაში.

● ნიკარაგუა

ცდა მარცხით დამთავრდა

მანაგუა. მარცხით დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების სელჩოს მეურვეობით მოქმედი ნიკარაგუის მსხვილი შეწარმოების ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ცდა მანაგუაში გამართული მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გადაექცეოთ მასობრივ ქუჩის არეულობად. თავისუფალი პოლიტიკური საქმიანობისათვის მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შესაბამისად სანდინისტურმა პოლიციამ წესრიგი უზრუნველყო მსვლელობის დროს.

აშკარა კონტრრევოლუციური ლოზუნგებით გამართული დემონსტრაციის ორგანიზატორთა პროვოკაციული განწყობის მიუხედავად, არავითარი სერიოზული ინციდენტი არ მომხდარა. წინა დღით ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სელჩომ მანაგუაში 25 ათასი დოლარი გამოჰყო ამ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლის მოწყობისათვის. გამოაშკარავდა რეაქციის გეგმები მოეწყოთ „ერთი ან ორი მანიფესტანტის“ დაღუპვა და ეს დანაშაული დაებრალებინათ ხელისუფალთათვის, რათა შემდეგ გაეჩაღებინათ ხმაურიანი კამპანია იმის გამო, თითქოს ნიკარაგუაში „ადამიანის უფლებებს უხეშად არღვევდნენ“.

ზოგიერთი მონაცემების თანახმად, მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობდა 15 ათასამდე კაცი, თუმცა ოპოზიციის ლიდერები ამტკიცებენ, რომ მანაგუას ქუჩებში ჩაიარა 30 ათასმა ნიკარაგუელმა. მაგრამ არც ერთ, არც მეორე ციფრს პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. მსვლელობის დროს ცხადი გახდა, რომ დემონსტრანტთა დიდმა უმრავლესობამ... საერთოდ არ იცოდა, რა საბაბით იმართებოდა დემონსტრაცია.

ესაუბრა რა მანიფესტაციის მონაწილეებს, საკდესის კორესპონდენტმა შეიტყო, რომ მრავალი მათგანი უბრალო გლეხია ჩონტალესის, ბუაკოს, ლეონისა და ქვეყნის სხვა რაიონების დეპარტამენტებიდან. ისინი შრომობენ მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მეწარმეების მამულებში, რომლებმაც გლეხები ჩამოიყვანეს მანაგუაში „დედაქალაქთან გაცნობის“ საბაბით. „მხოლოდ მანაგუაში მივხვდით, რომ ჩამოგვიყვანეს ანტისანდინისტურ თავყრილობაში მონაწილეობისათვის. ჩვენ ეს არ მოგვწონს“, აღიარა ერთ-ერთმა გლეხმა.

დემონსტრანტთა რიგებში მყოფი სანდინისტური მთავრობის თაგვამოდებული მოწინააღმდეგენი უცხოელ ჟურნალისტთა თანდასწრებით ამაოდ ცდილობდნენ შეექმნათ იმის მოჩვენებითობა, თითქოს დემონსტრაციის თითოეული წევრი მასში მონაწილეობდა კეთილი ნებით. მაგრამ მოტყუებული გლეხების იმედგაცრუებული სახეები და მსვლელობის სურათი სრულიად საწინააღმდეგოს მეტყველებდა.

● სიერა ლეონე

დაიცავს სმოგისაგან

მეხიკო. მექსიკაში გამოიგონეს საავტომობილო დამჭიფერი, რომელსაც, ძირითადი ფუნქციის გარდა, ამავე დროს შეუძლია შთანთქოს მანქანის მიერ გამომუშავებული გაზის დაახლოებით 50 პროცენტი. მის კორპუსში მოთავსებულია განსაკუთრებული სპირალი, რომელიც აფსებულია სითხით. ეს სითხე კი დამზადებულია ტექნიკური სპირტისაგან და მასში დამატებულია ფოგირდი. ასეთი კონსტრუქცია საშუალებას იძლევა დაიჭიროს ტყვიისა და ნახშირორჟანგის — გამონაბოლქვი გაზების ყველაზე შხამიანი კომპონენტების მნიშვნელოვანი ნაწილი. ძნელია ჯეროვნად არ შეფასდეს ამ გამოგონების მნიშვნელობა მეხიკოსათვის, რომელიც იხუთება სმოგისაგან